www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 16 თებერვალი, 2009 წელი. №33 (2071) | ფასი 50 თეთრი

პრესომბუდსმენი
A3



დათვები
A10



ტიმ ლეინი: "მომავალშიც ლელოებზე ვიქნებით ორიენტირებულნი"
A13



# რუსული პროპაგანდის დანაშაული

დიმიტრი ავალიანი

*გენოციდის შესახებ რუსული ბრალდებები არაფერს ეფუძნება და არ დასტურდება - აღნიშნულია ავტორიტეტული საერთაშორისო უფლებათადამცველი ორგანიზაციის ჰუმან რაითს ვოთჩის მოხსენებაში, რომელიც აგვისტოს ომს მიეძღვნა. ამავე დროს, ორგანიზაციის რუსეთის ოფისის დირექტორის მოადგილე ტანია ლოკშინა აცხადებს, რომ არარსებული ქართული დანაშაულებების თემაზე აგორებულმა რუსულმა პროპაგანდამ უდიდესი როლი შეასრულა აგვისტოში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ძალადობის პროვოცირებაში, რაზეც პასუხისმგებლობა მთლიანად რუსეთს ეკისრება. 24 საათი ტანია ლოკშინას ომის დროს ჩადენილ დანაშაულებებზე და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობაზე ესაუბრა.*

გაგრძელება A4 გვერდზე



ტანია ლოკშინა

ზაურ [illegible] ფოტო

# არჩევანის გარეშე

დავით აფრასიძე

ორიოდე დღის წინ მეგობრებთან საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე ვსაუბრობდი. ერთი მოსაზრება მოვისმინე, რომლის მიხედვითაც აშშ-სა და რუსეთს შორის უახლოეს მომავალში ურთიერთობის დათბობა მოხდება ავღანეთის, ირანის, ანტისაჰაერო თავდაცვისა და ბირთვული შეიარაღების საკითხებზე. ეს კი გაზრდის საქართველოსა და სხვა ყოფილი რესპუბლიკების დამოკიდებულებას რუსეთზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენთვის აღარავის ეცლება. ამ მოსაზრებას დიდ ყურადღებას არ მივაქცევდი და ჩვეულებრივ მსჯელობად მივიჩნევდი, რომ არა ბოლო დროს მომრავლებული სხვა აზრები. გასულ კვირას ერთი პოლიტიკოსი ღიად ამობობდა, რომ ჩვენ მოსკოვთან საერთო უნდა გამოვნახოთ და კრემლის დაშოშმინებას ვეცადოთ. შეგახსენებთ, რომ დაშოშმინების პოლიტიკა 1930-იანი წლების მოვლენაა: მაშინ ჰიტლერის დაშოშმინებას ცდილობდნენ და რამდენად წარმატებულად, კარგად ვიცით. მსგავსი აზრი მოვისმინე ერთ, ამ მართლაც გასაოცარ ქვეყანაში პოპულარულად ქცეულ რეალიტი შოუში - ხალხი გავგზავნოთო მოსკოვს, გავიგოთო, რა სურთ ჩვენგან. საოცარია, რაც ხალხი გაუგზავნიათ მოსკოვში ბოლო ხუთი საუკუნის მანძილზე და თურმე კიდევ ვერ გაგვიგია, რა სურს რუსეთს ჩვენგან. და ბოლოს, ისეთი მოსაზრებაც მოვისმინე, რომელმაც ხასიათი სულ წამიხდინა. თურმე, 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია არ მომხდარა, რადგან ბოლშევიკების მხარესაც ქართველები იბრძოდნენო. ამ ლოგიკის მიხედვით, არც ჰიტლერს დაუპყრია საფრანგეთი, ნორვეგია, აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები, რადგან იქაც იყვნენ ადგილობრივი ფაშისტები და კოლაბორაციონისტები.

თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ მე ჩემს მეგობრებს არ ვეთანხმებოდი - არ მგონია საერთაშორისო პოლიტიკა "აილე-მიეცის" მარტივი კატეგორიებით ხორციელდებოდეს და აშშ-ში პრეზიდენტის ცვლილება პრინციპულად შეცვლის ორი ქვეყნის ურთიერთობას. ამასთან, ღრმად მწამს, რომ დასავლური არჩევანი არც აშშ-სა და არც ევროპის დიქტატი არაა, ეს პირველ რიგში საქართველოს არჩევანია. არსებითად არასრულია აზრი, რომ საქართველო აშშ-ს ინტერესებს ატარებს რეგიონში.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჟენევის მოლაპარაკებებს ხელს უშლიან

მიშა მეფარიშვილი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ეხმიანება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებას, თითქოს საქართველომ უარი განაცხადა ჟენევის მოლაპარაკებებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობაზე, რის გამოც ჩაიშალა აღნიშნული მოლაპარაკების პირველი რაუნდი.

საგარეო საქმეთა სამინისტროში უარყოფენ გრიგორი კარასინის ბრალდებას და აცხადებენ, რომ სწორედ რუსეთის მხარის გამოუცხადებლობით ჩაიშალა პლენარული სხდომა, მაშინ, როცა ქართული მხარე ბოლო წუთამდე ელოდა რუსეთისა და მისი "მარიონეტული რეჟიმების წარმომადგენლებს." მეტიც, სეპარატისტულმა მთავრობებმა ბოიკოტი გამოუცხადეს სამუშაო ჯგუფების შეხვედრებს.

სამინისტროში აღნიშნავენ, რომ სიმართლეს არ შეესაბამება რუსი დიპლომატის განცხადება იმის შესახებ, რომ ჟენევის მოლაპარაკებების მესამე რაუნდის დროს, 2008 წლის 17-18 დეკემბერს, შეხვედრის მონაწილეებმა ვერ შეძლეს შეთანხმების მიღწევა ისეთი მექანიზმის შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობდა ინციდენტების თავიდან აცილებას კონფლიქტის რეგიონში. "სინამდვილეში, ამ მექანიზმზე შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ ის რუსეთის მხარემ მარიონეტული რეჟიმების მეშვეობით დაბლოკა. უფრო მეტიც, ჟენევის მოლაპარაკებების კო-მოდერატორების მიერ ამ კვირაში ე.წ "დუმილის პროცედურაზე" გამოტანილი იგივე დოკუმენტი კიდევ ერთხელ დაირღვა იმავე რეჟიმების მიერ"-აცხადებენ სამინისტროში.

ბოლო თვეების განმავლობაში, იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა კონფლიქტის რეგიონში მშვიდობის დამყარება, საქართველოს 13 მოქალაქე დაიღუპა, რამდენიმე ათეული კი მძიმედ დაიჭრა. ჟენევის მოლაპარაკებები კი მიზნად ისახავს ისეთი მექანიზმის შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს სამხედრო პროვოკაციების თავიდან აცილებას.

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

BORJOMI ბორჯომი

GRDC group

ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## ჯილდოები სიკვდილის შემდეგ

*თავდაცვის სამინისტრო რუსული სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეებს იხსენებს და მათ სამშობლოს წინაშე გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისთვის აჯილდოებს. როგორც თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა ოთარ ბერძენიშვილმა განაცხადა, სახელმწიფო დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახებს არც მომავალში დაივიწყებს და მათ სოციალურ დახმარებას გაუწევს.*

რამდენიმე დღის წინ თავდაცვის სამინისტროში მიიწვიეს დაღუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრები. ჯარისკაცებს სიკვდილის შემდეგ სახელმწიფო ჯილდოები გადაეცათ. გარდაცვლილთა ახლობლები, რომლებმაც გარკვეული მიზეზების გამო ამ ღონისძიებაზე დასწრება ვერ მოახერხეს, თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელებმა საცხოვრებელი ადგილებზე პირადად მოინახულეს.

სახელმწიფო ჯილდოებით სიკვდილის შემდეგ პირველი ქვეითი ბრიგადის უმცროსი სერჟანტი უშანგი სოფრომაძე და მეოთხე ქვეითი ბრიგადის კაპიტანი ალექსანდრე თანდაშვილი დაჯილდოვდნენ. ვახტანგ გორგასლის სახელობის პირველი ხარისხის ჯილდოები მათი ოჯახის წევრებს თბილისში, თავდაცვის მინისტრის მოადგილემ შალვა ქოჩლაძემ და მეოთხე ქვეითი ბრიგადის მეთაურმა, მაიორმა გიორგი კალანდაძემ გადასცეს.

დედაქალაქის პარალელურად, ანალოგიური ღონისძიება დასავლეთ საქართველოს რეგიონებშიც გაიმართა. თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გელა ბერძენიშვილმა დაღუპული სამხედროების ახლობლებს სახელმწიფო ჯილდოები ხარაგაულში, ლანჩხუთსა და ქობულეთში გადასცა. მეოთხე ქვეითი ბრიგადის კაპრალების ზაზა გლუნჩაძის და თენგიზ ჭილლაძის ოჯახის წევრებს ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ჯილდოები გადაეცათ, ხოლო მეორე ქვეითი ბრიგადის კაპრალ რუსლან წულაძის ოჯახის წევრებმა მედალი მხედრული მამაცობისათვის მიიღეს.

დაჯილდოების პროცესი იმერეთშიც შედგა. თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა ოთარ ბერძენიშვილმა დაღუპული სამხედროების ახლობლები სამტრედიაში, ტყიბულში, ბაღდათსა და ვანში მოინახულა. მეოთხე ქვეითი ბრიგადის კაპრალი ავედიკ ლომაძე სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის სახელობის მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. მეორე ქვეითი ბრიგადის სერჟანტების ნიკოლოზ ფორჩხიძის, ზვიად კაცაძის და ილია გაბუნიას ოჯახის წევრებს გადაეცათ ჯილდოები მხედრული მამაცობისთვის .

როგორც თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა ოთარ ბერძენიშვილმა დაჯილდოების ცერემონიაზე განაცხდა, დაღუპულთა დაჯილდოება და მათთვის პატივის მიგება ერთჯერადი პროცესი არ იქნება. ბერძენიშვილის თქმით, მომავალში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახებს სახელმწიფო სოციალურ დახმარებას გაუწევს.

**2009 წლის 15 იანვარს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით შექმნა რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში გარდაცვლილ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ, საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრთა სოციალური უზრუნველყოფის საკითხების განმხილველი საბჭო." მისი მუშაობის შედეგად უკვე 23 ადამიანი დასაქმდა, მომავალში კი მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება,"** - განაცხადა ოთარ ბერძენიშვილმა.

*საკუთარი ინფორმაცია*

### ორი სიტყვით

**ვილნიუსი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად, ლიტვაში იმყოფება.

**მედიანიუსი**

**თბილისი.** ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენციის მშენებლობისა და ამ მშენებლობის ხარჯების საკითხით საპარლამენტო ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატები" ინტერესდება.

**პირველი**

**მოსკოვი.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის ინფორმაციით, რუსეთში შვეიცარიის საელჩოში საქართველოს სექცია მარტში გაიხსნება. მარტშივე გაიხსნება საქართველოში შვეიცარიის საელჩოში რუსეთის სექცია.

**მედიანიუსი**

# არჩევანის გარეშე

პირველი გვერდიდან

უფრო მართებული იქნებოდა ვთქვათ, რომ აშშ-ს და ევროპის ინტერესები ემთხვევა საქართველოს ინტერესებს და ამიტომაცაა ჩვენი არჩევანი მათ სასარგებლოდ.

ვინმეს შეიძლება გადამეტებულად მოეჩვენოს, მაგრამ ისეთი აზრი შემექმნა, რომ ისევ რუსეთის წიაღში საქართველოს დაბრუნებას არც თუ ცოტა (თან ცნობილი) ადამიანი უჭერს მხარს. მათ გასაგონად რამდენიმე სტერეოტიპს მინდა შევეხო, რომელიც ამ ადამიანების "მყარ არგუმენტად" იქცევა, როცა კი სიტყვა რუსეთზე ჩამოვარდება. რუსეთზე საუბრისას მათ გონებაში ქვეცნობიერად მოსკოვის სასტუმროებსა და რესტორნებში გატარებული დღეები ამოტივტივდება და საღი მსჯელობის უნარს აკარგვინებს.

ყველაზე "მყარი არგუმენტი" რუსეთის ერთმორწმუნეობაა - რუსეთი მართლმადიდებელი ერია. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რუსეთის ეკლესია არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ ხელყოფას, ახალი პატრიარქის კურთხევას ლამის პირდაპირ ეთერში ვუყურებთ, ჩვენი ეკლესიის დელეგაციის საუბრებს რუს სამღვდელოებასთან უმაღლესი დონის დიპლომატიად მივიჩნევთ. თუმცა, რუსეთის მოყვარულებს ავიწყდებათ, რომ სწორედ ამ ქვეყანამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ქვითკირით გადაღება ქართული ეკლესიები და ზედ ვლადიმირებმა და დმიტრებმა სამახსოვრო წარწერები დაგვიტოვეს. ავიწყდებათ, რომ ამ ქვეყნის პოლიტიკური ელიტა (და არა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში) მართავდა და მართავს ეკლესიას, სადაც მაღალი სამღვდელოება უშიშროების მაღალჩინოსათნა სამხრეებსაც ატარებს ანაფორის შიგნით. რა გასაკვირია, რომ ამ ეკლესიას არც წარსულში დაუგმია მოძმე ეკლესიის დამოუკიდებლობის ხელყოფა და არც ახლა უთქვამს რამე ნიშანდობლივი მართლმადიდებელი ერის წინააღმდეგ ომზე. საოცარია, რომ ჩვენში ჯერ კიდევ სჯერათ ორი რუსეთის ხატების.

მეორე არგუმენტი ისტორიულ-პოლიტიკურია და ასე ჟღერს: დაქუცმაცებული ქართული სამეფო-სამთავროები რუსეთმა გაოსმალებას და გასპარსებას გადაარჩინა და გააერთიანა. ეს არგუმენტი უფრო ლოგიკური ჩანს. მართლაც, რომ არა რუსეთის იმპერია, ალბათ, არც ახალციხე იქნებოდა დღეს საქართველოს ქალაქი და არც ბათუმი. თუმცა, ჯერ ერთი, რუსეთს ეს ქართველი ხალხის სიყვარულით არ გაუკეთებია, მას ახლო აღმოსავლეთისაკენ ტერიტორიული განვრცობა აინტერესებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტოტლებენის ჯარი ერეკლეს არ მიატოვებდა და დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიაყვანინებდა. მეორეც, რომ არა რუსეთი, აღმოსავლეთ (და თანდათანობით დასავლეთიც) საქართველო სტაბილიზაციას აღწევდა ირანისა და ოსმალეთის დასუსტების ხარჯზე და ვინ იცის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც მოეხერხებინა. მოსკოვი ცდილობდა შიგნიდან გამოეფიტა ქართული სამეფოები, რათა უფრო ადვილად დაეპყრო ისინი. ჩინ-მედლებით დაბრმავებული და ერთმორწმუნეობით შეგულიანებული ქართველი დიდგვაროვნები კი ხალისით იბრძოდნენ სამშობლოს ინტერესების წინააღმდეგ. არც ოსმალეთს და არც ირანს (უფრო ძველი მეტოქეები რომ არ გავიხსენოთ) საქართველოს სახელმწიფოებრიობის ავტონომიური საფუძვლები არ მოუსპიათ. აღიარებული ფაქტია, რომ რუსული ტიპის ბატონ-ყმობამ ჩაანაცვლა ქართული პატრონ-ყმობა და ამით საქართველოს საზოგადოებას სოციალური საფუძველი გამოაცალა. ასეც რომ არ იყოს და რუსეთის უნებლიე წვლილი საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენის საქმეში მაინც რომ ვაღიაროთ, სრული გულუბრყვილობაა დღეს ჩვენი ინტერესები "ისტორიული მადლიერების" გაუგებარ ცნებას ვანაცვალოთ. კიდევ ერთიც, გაიხსენეთ ბრესტ-ლიტოვსკში ერთი ხელმოწერით როგორ გადასცეს ბოლშევიკებმა საქართველოს მიწები თურქეთს და რა დაკარგა საქართველომ, როცა, როგორც ზემოხსენებული ბატონი ბრძანებდა, ქართველებისვე მონაწილეობით თბილისის თავზე წითელი დროშა აფრიალდა.

საქართველოში სჯეროდათ და, როგორც ჩანს, კვლავაც სჯერათ, რომ რუსეთი ხიდია ევროპისკენ, რომ იგი განვითარების ევროპული გზის ალტერნატივაა. თუ რუსეთის ისტორიას გადავავლებთ თვალს, მარტივად აღმოვაჩენთ, რომ ეს ქვეყანა აღმოსავლური დესპოტიის კლასიკური მაგალითია, ერთადერთი ფორმალური განსხვავებით - რელიგიით. ვერც პეტრე დიდის, სტოლიპინის თუ სხვათა რეფორმებმა რუსეთი აზიურ (როგორც თავად ამბობენ ევრაზიულ) ფესვებს ვერ მოგლიჯა. საინტერესოა, რომ თავად აზიური სახელმწიფოების ყველა წარმატებულმა მაგალითმა განვითარების სწორედ დასავლური მოდელი აირჩია. თუმცა, არც იმის მტკიცება იქნებოდა სწორი, რომ რუსეთის "ცივილიზაცია" შეუძლებელია და რუსეთი ვერასდროს გახდება ნორმალური ქვეყანა.

ვიდრე ეს მომხდარა, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ქართული საზოგადოების ღირებულებები ტრადიციულად ბევრად უფრო ახლოა ევროპულთან, ვიდრე რუსულთან. თუ ბატონ-ყმობა და პატრონ-ყმობა ისტორიული კატეგორიებია, დღევადნელობიდან შეიძლება ვახსენოთ ინდივიდუალიზმი, რომელიც რიგით ქართველს ბევრად მეტი აქვს, ვიდრე რუსულ კოლექტივისტურ საზოგადოებას; ასევე - ტოლერანტობა, რომელიც ქართველებში გვარიან მოძლიერებას კი საჭიროებს, მაგრამ სკინჰედებისა და ათასგვარი ჯურსი მოფაშისტო დაჯგუფებების შექმნას მაინც შეუძლებელს ხდის. დღეს საქართველოს საზოგადოება უფრო მომწიფებულია დასავლური ტიპის დემოკრატიისათვის, ვიდრე რუსული ტიპის ავტორიტარიზმისთვის. ამდენად, დასავლური არჩევანი ჩვენთვის ბუნებრივია და არა გეოპოლიტიკური რეალიებით განპირობებული. სხვა სიტყვებით, განვითარების დასავლურ გზას ალტერნატივა არ აქვს.

# ჟენევის მოლაპარაკებებს ხელს უშლიან

პირველი გვერდიდან

გაეროს უშიშროების საბჭომ 13 დეკემბერს პირველად დააფიქსირა ჟენევის მოლაპარაკებების მნიშვნელობა ომის შემდგომ მშვიდობის დამყარებისთვის და მსგავსი იმედები გამოთქვა რამდენიმე დღის წინ თბილისში სამუშაო ვიზიტით ჩამოსულმა ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმაც.

საგარეო საქმეთა სამინისტრო სამარცხვინოს უწოდებს რუსეთის სურვილს, მის მიერვე შექმნილი "ვირტუალური რეალობა" თავს მოახვიოს მთელს მსოფლიოს. ამ შემთხვევაში ნაგულისხმებია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ 2009 წლის 12 თებერვალს გრიგორი კარასინსა და სერგეი შამბას შორის შედგა სატელეფონო კონსულტაცია გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღებასთან დაკავშირებით. ამ განცხადებით, რუსეთი ახდენს "აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან," როგორც დამოუკიდებელ ერთეულთან, კონსულტაციების აფიშირებას.

"ყოველივე ამის შემდეგ, ზედმეტია კომენტარი რუსეთის "კეთილ ზრახვებზე" ჟენევის მოლაპარაკებების მიმართ,"-აცხადებენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში და გამოთქვამენ მწუხარებას, რომ "ამ დონის დიპლომატი ასეთ დემაგოგიას ეწევა.

# დამხურდავებელი მძღოლების მონატრება

ზაზა ფაჩუაშვილი

ამიერიდან მუნიციპალური ტრანსპორტით მოსარგებლე საქართველოს მოქალაქეთა მთავარი საზრუნავი 40 თეთრად დაყოფილი ხურდა ფულის მოძიება და შეგროვება იქნება. ვისაც ჯიბეში ზუსტად 40 თეთრი არ აღმოაჩნდება და ავტობუსში ისე ავა, კონტროლიორის ლუკმა გახდება და 15-ლარიან ჯარიმასაც გამოჰკრავს ხელს. ყველაფერი იმით დაიწყება, რომ კონტროლიორი თქვენს სკამთან დაიხრება და გკითხავთ

- **ბილეთი გააქვთ?**

- არა.

**- წამობრძანდით და შეიძინეთ!**

- როგორ უნდა შევიძინო? - იკითხავთ აპარატთან მისული.

**- 40 თეთრი გააქვთ?** - კითხვითვე გიპასუხებთ გვერდზე მდგომი კონტროლიორი.

- არა.

**- პირადობის მოწმობა გააქვთ?**

- პირადობის მოწმობა რად გინდათ?

**- 15-ლარიან ჯარიმას გამოგიწერთ!**

- რისთვის?

**- უბილეთოდ მგზავრობისთვის.**

- კი, მაგრამ, ჯერ ხომ ავტობუსში ვარ და არ ჩავსულვარ?

**- ბილეთს როგორ შეიძენთ, თუ ხურდა არა გაქვთ?**

- მძღოლთან დავახურდავებ.

**- მძღოლი არ ახურდავებს.**

- ?!

**- ჰო, კარგი, კარგი, ამჯერად არაუშავს, მაგრამ მომავალში, თუ არ გექნებათ ხურდა ან მგზავრობის პლასტიკური ბარათი, დაგაჯარიმებენ.**

ასე დასრულდა ერთი საუბარი მოწყალე კონტროლიორთან და გაჩნდა თავსატეხი, სად მოვაგროვოთ ამდენი 40 თეთრი, როცა რამდენიმე ადგილზე მისვლა-მოსვლა, გადაჯდომა-გადმოჯდომა მჭირდება. და თუ ნაცნობიც შემხვდა?...

პლასტიკური ბარათი გამოსავალია, მაგრამ მათთვის, ვინც ავტობუსით ყოველდღე მგზავრობს და თანაც ბარათის ყიდვის საშუალებაც აქვს. სხვა შემთხვევაში, გაიხარებენ სამარშრუტო ტაქსების მძღოლები. აბა, რა ვქნათ, სად ვეძებოთ დილაუთენია ხურდა, რომელიც ყველას უჭირს და რამე თუ არ იყიდე, ლარიანსაც არავინ დაგიხურდავებს.

იქნებ უპრიანი იყოს, რომ მძღოლებს ფულის დახურდავების საშუალება მიეცეთ. ფხიზლადაც იქნებიან და ამ მონოტონურ სამუშაოზე საქესთანაც არავის ჩაეძინება.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

ნოდარ ლადარია

1943 წლის მარტში ბერლინის მცხოვრები **ჰაინც ულშტაინი** ებრაელობის გამო ოსვენციმის გზას გაუყენეს. იმ დღემდე მას გერმანელი ქალის, **ანას** ქმრობა იცავდა დაპატიმრებისაგან. 1943 წელს წყვილმა განქორწინება გადაწყვიტა. მიუხედავად ამისა, ანა სხვა გერმანელ ქალებთან ერთად ორი კვირის განმავლობაში ყოველდღე მიდიოდა პროტესტის გამოსახატად როზენშტრასეს 2 ნომერში, სადაც ბანაკში გასამგზავრებელი რამდენიმე ათასი მამაკაცი ჰყავდათ გამოკეტილი.

ტყვეები გაათავისუფლეს. ყველანი. ულშტაინები კი ომის დამთავრების შემდეგ დაშორდნენ ერთმანეთს. ჰაინცმა კი მრავალი წლის შემდეგ მოგონებათა წიგნი გამოსცა, რომელშიც ერთი თავი ასეა დასათაურებული: "გერმანია... ანა, ეს შენ ხარ!".

რატომ აგდებდა საფრთხეში ანა ულშტაინი საკუთარ სიცოცხლესა და თავისუფლებას იმ მამაკაცის გულისთვის, რომელთან ცხოვრება უკვე აღარ უნდოდა?

ამის მიზეზი იყო ყოველი ტოტალიტარული რეჟიმის ნამდვილი მესაფლავე: სიმართლით ცხოვრების სურვილი. ამ მოვლენებს ერთხელ უკვე მივუძღვენი სტატია, რომელიც ჟურნალ "ანაბეჭდში" გამოქვეყნდა. იქ ვწერდი: "**უსამართლობა მხოლოდ გარეგნულად ეყრდნობა იარაღს, მისი მთავარი საყრდენი ის მდგომარეობაა, როცა ადამიანები ადვილად ურიგდებიან აშკარა სიცრუეს, როცა ვერც ამჩნევენ მას**".

შეიძლება ეს მაგალითი ვინმეს უსაფუძვლო ეჩვენოს, მაგრამ მე სწორედ როზენშტრასეს პროტესტი გამახსენდა, როცა წავიკითხე 9 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი სტატია: **დავით აფრასიძე**, *Vivat Res Publica!* ამ სტატიაში ვკითხულობთ: "**მეფის სურვილი ახალი ლიდერის, ახალი მამის სურვილია ... აქ ორმაგი სახის პრობლემასთან გვაქვს საქმე. ერთი, ამ განცხადებით ჩვენ უარს ვამბობთ თავისუფლებაზე და პასუხისმგებლობაზე, თავად გადავჭრათ პრობლემები, ანუ ვთანხმდებით ავტორიტარიზმს. მეორეც, ჩვენს გადაჭარბებულ მოლოდინს (უკვე მერამდენედ) ვუკავშირებთ სხვას და ამით წინასწარ ვუმზადებთ თავს იმედგაცრუების ახალ ტალღას**".

ყველაზე ზედაპირულ დონეზე ავტორს შეიძლება შევეკამათოთ: რა სურვილი და რა განცხადება? ღირს კი ჭიქაში ატეხილი ქარიშხალი ასეთ ხმამაღალ რეაგირებად?

მაგრამ თუ კერძო ხასიათის მოვლენებს მხოლოდ საბაბად განვიხილავთ, აღმოვაჩენთ, რომ დავით აფრასიძე ჩვენი ცხოვრების საკმაოდ არსებით და საჭირბოროტო საკითხს ეხება. გასულ კვირას ბევრი მირეკავდა და მეუბნებოდა: "**ნახე, ბენდუქიძემ რა უყო გრიგოლიას პირდაპირ ეთერში?**". საზოგადოებრივი რეზონანსით ეს მოვლენა ნამდვილად შესადარებელი იყო ბაგრატიონების ქორწინებასთან. რაც შეეხება მის შინაარსს, აქაც იგივე რამ იკვეთება: გვტანჯავს უსამართლობა, მაგრამ აქეთიქით ვიყურებით და ველოდებით, რომ სხვამ ამოიღოს ხმა. აქედან სიხარული: ყოჩაღ, ბენდუქიძე! კაცმა არ იცის, რა უფრო უხარიათ: სათქმელი რომ ითქვა, თუ სხვის მიერ რომ ითქვა?

ანდა **ლაშა ბუღაძის** მიერ 13 თებერვალს გამოქვეყნებულ სვეტში შენიშნული გარემოება: "**ჟურნალისტებმა იციან, რომ რუსეთი მტერია, რომ ეროვნული სიმტკიცის გამოჩენაა საჭირო, მაგრამ ხმის ტემბრით, ტონითა და გამომეტყველებით საპირისპიროს გამოხატავენ: ეტყობათ, რომ ევროვიზიები, იურმალები და მისთანანი ყველაფერს ურჩევნიათ ამქვეყნად**".

## მომავალ ორშაბათამდე!



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



კიდევ რა ვთქვათ? იქნებ "მაესტროს" ეთერში **რობერტ სტურუას** გამოცხადებული ახალი ისტორიული ჭეშმარიტება გავიხსენოთ? 1921 წელს რუსეთის მიერ ოკუპირებულნი არ ვყოფილვართ, რადგან საბჭოთა ხელისუფლება ქართველებმა დაამყარესო. უნდა ვიგულისხმოთ, რომ დიდი რეჟისორისათვის შარშან აგვისტოში სარდლის გვარი ყოფილა დამოკიდებულების ერთადერთი განმსაზღვრელი და რუსის ჯარის სათავეში, მაგალითად, **იგორ გიორგაძე** რომ დაენახა, თავისი ხელით გაამზადებდა პურ-მარილს.

ან **დავით ტურაშვილი** როგორ აღვიქვათ? რადიო "უცნობში" თავის რუბრიკაში "ტურიკას კომენტარები" აღფრთოვანებით გვიყვება, როგორ ელაზღანდარებოდა **ანა ბაგრატიონს**, ეგეთი პუტკუნა ნუ ხარ, ცოტა თავს მიხედე, თორემ არ შეიძლება საქართველოს დედოფალი ასეთი პუტკუნა იყოსო. "24 საათში" (12 თებერვალი) კი გვიმხელს, ბაგრატიონებს ქორწილში მჟავე ღვინო ჰქონდათო. მერე ძმაკაცურად გვიპაჭუნებს თვალს რესპუბლიკის მომხრეებს და გვპირდება, დანარჩენი დეტალები მერე იყოსო.

კიდევ რა გავიხსენო? ვადამდელი არჩევნები (ადრე დანიშნულიცა და ახლა მოთხოვნილიც), ათწუთიანი შესვენებით დაკმაყოფილება პარლამენტის სხდომაზე, საახალწლო ინდაურები და, ვინ იცის, კიდევ რა! ყველაფერი ეს მხოლოდ ერთს მოწმობს: სიმართლით ცხოვრების სურვილი და პრინციპებისადმი ერთგულება ჩვენში ვერასოდეს გადასწონის წვრილმან კერძო ინტერესებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით პოლიტიკური დებატების გულმხურვალე მხარდამჭერმა, ეკა კვესიტაძემაც კი აღიარა: "**ქართულ მედიასივრცეში დებატები საერთოდ გაქრა არა იმიტომ, რომ ვინმე კრძალავს, უბრალოდ არ არსებობს თემა, რომელზეც არსობრივი დებატები შედგებოდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის**" (10 თებერვალი, სტატია *"გაჭედილნი"*).

აი ანა ულშტაინის სამშობლომ კი სწორედ მის მოქალაქეთა შინაგანი მზადყოფნის წყალობით დაიმსახურა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ეკონომიკური აღორძინება. ჩვენ კი ვერა და ვერ დავძლიეთ... რა?

ის, რაც ვერ დავძლიეთ, ყველაზე აშკარად და ამავე დროს ყველაზე სახიფათოდ გამოიხატება დილემაში: დასავლეთი თუ რუსეთი. შესაძლოა, ვინმემ დილემის ისტორია შეგვახსენოს და მიგვითითოს დიდგორში მებრძოლ ევროპელ რაინდებზე, თუ იტალიელ მისიონერებზე, თუ **სულხან საბა ორბელიანზე**... ეს ყველაფერი ჯერ კიდევ მოითხოვს არსებით კვლევას, შესწავლას, რომელიც ფაქტობრივ აღწერაზე ამაღლდება. ახლა ამას არ ვგულისხმობ. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ დილემის დღევანდელი ვარიანტი, უფრო მეტიც, თვით მისი დასმის ფაქტი სხვა არაფერია, თუ არა შინაგანი გაურკვევლობისა და უმწიფარობის გადატანა საგარეო პოლიტიკის სფეროში.

ეს ვითარება საკმაოდ ცხადადაა მოხაზული ეკა კვესიტაძის უკვე ნახსენებ სტატიაში. მე არ ვიზიარებ საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით ავტორის ერთგვარ პესიმისტურ განწყობას. მაგრამ ვუშვებ, რომ ზომიერი პესიმიზმი საქმეს წაადგება.

ახლა მინდა მოვიყვანო ორი ძალიან მნიშვნელოვანი ციტირება, რომელსაც სტატიაში ვპოულობთ. პირველი ჯო ბაიდენის მიერ გაკეთებულ განცხადებას გვაცნობს: "**ამერიკა უფრო მეტს გააკეთებს, მაგრამ ამერიკა თავისი პარტნიორებისაგანაც უფრო მეტს მოელის**". აქ კი პესიმიზმი უკვე სრულიად გაუგებარია: სხვას რას ველოდით? პატრონს? ჩვენ მეგობარი მივიღეთ და არა პატრონი. ეს კი ყოველთვის გულისხმობს პასუხისმგებლობის გაზიარებას.

მეორე ციტირება კი აღებულია ვაშინგტონის მარშალის ფონდის დირექტორის, **რონ ასმუსის** ჟურნალ "ტაიმსისადმი" მიცემული ინტერვიუდან: "**დაივიწყეთ რუსეთი, რამდენადაც შესაძლებელია, დააჩქარეთ რეფორმები და აღადგინეთ მორალური უპირატესობა, რომელიც გქონდათ და დაკარგეთ**". რეფორმების დაჩქარება სრულიად გასაგები და აუცილებელი მოთხოვნაა. მორალური უპირატესობის აღდგენა ალბათ კომენტარს მოითხოვს. მაგრამ ამჟამად პირველი ნაწილი უფრო გვაღელვებს: **დაივიწყეთ რუსეთი**!

ეს "დავიწყება", რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ყურადღების მოდუნებასა და ქართულ უდარდელობას: ნამდვილად აღსაკვეთია საქართველოს სამაგისტრალო გზებზე ბანდიტების თარეში. პირიქით, ასმუსის მიერ ნახსენები "დავიწყება" სწორედ მეხსიერების მობილიზებასა და ყურადღების დაძაბვას ნიშნავს.

დავიწყება, უპირველეს ყოვლისა, განდევნას ნიშნავს ჩვენი ყოფიდან და გონებიდან განდევნას.

მართალია, ამასაც შეიძლება ზედაპირული სახე ჰქონდეს. ვიტყვით, მაგალითად, მოსკოვის პროსპექტის მაგიერ ვაშინგტონის გზატკეცილს და დავიმშვიდებთ გულს. მერე და რა? არ უარვყოფ ქართული ტოპონიმიკის დერუსიფიკაცასა და დესოვეტიზაციას ეს აუცილებელიცაა. მე მხოლოდ ზედაპირულობას უარვყოფ და კიდევ იმის გულუბრყვილო რწმენას, თითქოს ქვევრს ყელი გაუგანიერდება. მე არც "24 საათში" **ბრაილოვსკის** ტექსტის გამოქვეყნებას ვეწინააღმდეგები (*ნალდაჭედილი რწყილები*) მე ვეწინააღმდეგები სულიერ სიმშვიდესა და ნიშნის მოგებას, რომელიც ამ ტექსტის წაკითხვის შემდეგ შეიძლება დარჩეს ქართველ მკითხველს.

ომის დროს მეც ვლაპარაკობდი რუსეთისა და რუსების ბარბაროსობაზე. არც ახლა ვიხევ უკან და შემიძლია კვლავ მოვაწერო ხელი ყველაფერს, რაც მაშინ გამოვაქვეყნე. უბრალოდ, ახლა რეფლექსიის, გონების მოკრების საშუალება მოგვეცა და უფრო ფუნდამენტური, უფრო გადამწყვეტი და გადამჭრელი სახე უნდა მივცეთ რუსების დავიწყებას.

იმ დღეებში ჩვენი მთავარი მიზანი სიმტკიცის შენარჩუნება და საზოგადოებაში სამართლიანი რისხვის აღძვრა იყო. ახლა უკვე ვეღარ ვიტყვით, რომ კიცხვა და გმობა რაიმე ღირებულის გარანტიას მოგვცემს. კიცხვა და გმობა, ლანძღვა და გინება რუსეთსა და რუსებს არც იმ ავადსახსენებელ დროს აკლდა, რომელსაც ასე მისტირიან ჩვენი სასიქადულო ეროვნული "ინწილიგენციის" თვალსაჩინო წარმომადგენლები.

მაშ რა კონკრეტული განხორციელება უნდა მივცეთ ამ იდეას, რომლის აუცილებლობასაც ასე ვგრძნობთ?

გაგახსენებთ გიგა ზედანიას იმ სტატიას, რომელიც წინა კვირას განვიხილეთ. იქ ერთი აზრი იყო გამოთქმული, რომელიც მოგვიანებით მისგან დამოუკიდებლად ბევრმა სხვა ჩემმა მეგობარმაც გაიმეორა: ქართველი ინტელექტუალის წინაშე ერთგვარი გაორების საშიშროება დგას. ერთი მხრივ, დასავლეთი, მისგან თანამედროვეობის უმწვავესი პრობლემებისაგან არჩამორჩენას ითხოვს, მაგრამ ქართულ საზოგადოებას ეს არ სჭირდება. მეორე მხრივ, საქართველოსათვის აუცილებელია მოდერნიზაცია, რაც ინტელექტუალისთვის, გარკვეული აზრით, შემოქმედებაზე უარის თქმას და სულიერ თავგანწირვას ნიშნავს.

ეს თავგანწირვა კი არ არის იმდენად საშიში (ბოლოს და ბოლოს, აქ აღიარების მიღწევისა და თვითრეალიზაციის იმდენივე შანსია, რამდენიც საკუთრივ შემოქმედებაში), რამდენადაც სხვა რამე: უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველ საზოგადოებას არა აქვს ანგარიშგასაწევი სურვილები, არამედ მხოლოდ სასიცოცხლო საჭიროებები დარჩა.

ამ დაშვებამდე უფრო ადვილად მიდიან ისინი, ვინც ჯერ კიდევ საბჭოთა დროს მიეჩვია პრივილეგირებულ მდგომარეობას. მაგალითად, ვინც გუშინ რაიკომის მდივნებზე იღებდა კომუნისტურ ჰაგიოგრაფიულ ფილმებს, დღეს უპრობლემოდ უკმევს ბაგრატიონთა დინასტიურ ქორწინებას. ამისთვის გარეგნული ორიენტირებიც აქვს: საკოლმეურნეო საქონელს რუსული დამღა ჰქონდა დაკრული, ბაგრატიონების გვარიც არაა ამგვარი დამღის გარეშე, თორემ ეგ "გრუზინსკი" რაღა დოზანაა!

ჩვენ ასე აგდებულად ვერ მოვეპყრობით საკუთარ ხალხს, ასე თავხედურად ვერ მოვთხოვთ, როგორც ისინი ითხოვენ, კიდევ ერთი შანსი მივცეთ რუსეთსო. ამიტომაც არ ისმის ჩვენი ხმა, ამიტომაც არ ვჩანვართ. მაგრამ ეს მაცდური გრძნობაა: დღეს პასუხისმგებლობის დრო მოვიდა, წყლულები და ჩირქგროვები უნდა აღმოვაჩინოთ და ამოვწვათ.

ამ საქმეში კი მარტონი ვართ. არავინ დაგვეხმარება. მეგობრებმა ამის შესახებ უკვე გაგვაფრთხილეს: როგორც ბაიდენმა თქვა, ისინი მეტს ელიან ჩვენგან.

ბუნებრივია, ვერც მტრები გვიშველიან რამეს, ვერ გაგვიწევენ ამ საქმეში ვერც აქტიურ და ვერც პასიურ დახმარებას. ვერ იქნებიან ჩვენთვის ვერც პოზიტიური და ვერც ნეგატიური მაგალითი. სწორედ ამის, ანუ საკუთარი თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის შეგნება არის რუსების დავიწყების პირველი ნაბიჯი.

მაგრამ დავიწყება ძნელია. რა არის ამ სიძნელის მიზეზი? - ერთადერთი და განუმეორებელი პერსპექტივა, რომელსაც რუსეთი აძლევს საშუალო გაქანების ქართველებს. აი, თუნდაც **ნინია ახვლედიანის** ერთი მასალა ვნახოთ, რომელშიც ერთ-ერთი "კნიაგინია" ბაგრატიონის შესახებ ვკითხულობთ: "**კისლავოდსკში** (თუ კისლოვოდსკში *ნ. ლ.*) **დასასვენებლად ჩასული კი იქაურ ქალებს მოდას კარნახობდა. ცხენზე ჯირითის დროს ჩალმას დავიხურავდი და მეორე დღეს მთელი კისლავოდსკი ჩალმით დადიოდაო , იხსენებდა**". საქმეც ესაა: ბადენ-ბადენსა თუ ბიარიცში წარბსაც არავინ ასწევდა, ქოდალოსა და ჩუმლაყში კი ძველი ტრადიციისამებრ თავზე ქლიავს დააყრიდნენ. ჰოდა, ამ ჩვენს "კნიაგინიას" რაღა რჩებოდა "კისლავოდსკის" გარდა?

# რუსული პროპაგანდის დანაშაული

პირველი გვერდიდან

**- ამჟამად რა მიზნით იმყოფებით საქართველოში?**

- იანვრის ბოლოს ჩვენ გამოვაქვეყნეთ დიდი, ორასგვერდიანი მოხსენება ომისა და მისი შედეგების შესახებ. ამ მოხსენებაში აღნიშნულია, თუ როგორ ირღვეოდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კონფლიქტის ყველა მხარის მიერ. იქ ასევე გამოთქმული იყო გარკვეული რეკომენდაციებიც - რუსეთის-საქართველოს და საერთაშორისო თანამეგობრობის მისამართით. ერთ-ერთი ასეთი რეკომენდაცია ახალგორის რაიონში შექმნილ მდგომარეობას ეხება. კონფლიქტის შედეგად გადაადგილებული პირებისთვის დაბრუნების უფლება ფუნდამენტურია, მისი რეალიზაცია - აუცილებელი. მაგრამ, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მდებარე ის ქართული სოფლები, რომლებიც სანაკოევის ადმინისტრაციას ექვემდებარებოდა, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ამ სოფლების მცხოვრებთ დასაბრუნებელი აღარსად აქვთ. ისინიც კი, ვინც ახლა დაბრუნებას და სახლების თავად აღდგენას მოისურვებენ, ამას ვერ გააკეთებენ უსაფრთხოების პირობების არარსებობის გამო. ისინი იქ ვერ იცხოვრებენ, ვერ დააბრუნებენ თავიანთ ოჯახებს. ახალგორის რაიონი კი, გარკვეულწილად, გამონაკლისს წარმოადგენს. სამხრეთ ოსეთის სხვა ადგილებისგან განსხვავებით, ახალგორში არ დაუწვავთ სახლები, არ ყოფილა მასობრივი მაროდიორობა. მეორე მხრივ, ხალხი იქიდან, ფაქტობრივად, სულ წამოვიდა. ჩვენ გვისახელებენ ციფრებს, რომ საკუთარი სახლები მოსახლეობის 70 პროცენტმა დატოვა, შეიძლება მეტმაც. ჩვენ გვინდა, გავერკვეთ, რას უკავშირდება ეს და რისი გაკეთება შეიძლება იმისთვის, რომ ხალხი დაბრუნდეს.

**- ადამიანები ახალგორიდან მათი უფლებების კონკრეტული დარღვევების გამო წამოვიდნენ?**

- როგორც ჩვენ ვხვდებით, ამის ძირითადი მიზეზი შიშია. საქმე ის არ არის, რომ იქ სახლებს წვავენ, ადამიანებს ძარცვავენ ან მშვიდობიან მოსახლეობას დევნიან. ამ რაიონში ომი, როგორც ასეთი, არ ყოფილა. პრობლემა ის არის, რომ იქ რუსი სამხედროები და ოსი მოხალისეები იმყოფებიან. ადამიანებს მიაჩნიათ, რომ, ერთი მხრივ, გასამხედროებული სტრუქტურები და, მეორე მხრივ, დაცვის მექანიზმების არარსებობა მათ საფრთხეს უქმნის. ისინი არ ენდობიან ადგილობრივ პოლიციას, ადმინისტრაციას. ეს კი, საერთო ჯამში, ისეთ პირობებს ქმნის, რომ ხალხს სახლებში დაბრუნება არ შეუძლია. ჩვენ ვცდილობთ, გავიგოთ, როგორ შეიძლება, რომ ეს სიტუაცია შევცვალოთ.

**- აგვისტოს ომზე მომზადებულ დასკვნაში თქვენმა ორგანიზაციამ მხარეებს მთელი რიგი რეკომენდაციები მისცა, მათ შორის დარღვევებისა და დანაშაულებების გამოძიების შესახებ. ასრულებს რომელიმე მხარე ამ რეკომენდაციებს?**

- ჩვენ ვსაუბრობდით, პირველ რიგში, გამოძიებაზე ეროვნულ დონეზე. რუსეთმაც და საქართველომაც მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. რა თქმა უნდა, ეს კარგია. მაგრამ, საერთაშორისო მექანიზმი დამატებითია, მართლმსაჯულება, პირველ რიგში, ადგილზე უნდა მუშაობდეს - საქართველოსა და რუსეთში. რადგან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ეფექტურ კონტროლს რუსეთი ახორციელებს, ის ვალდებულია, დამნაშავეებს პასუხი აგებინოს. რა ხდება სინამდვილეში? საქართველო ძალიან დაინტერესებულია დამნაშავეთა დასჯით რუსეთის და სამხრეთ ოსეთის მხრიდან. რუსეთი დაინტერესებულია დამნაშავეთა დასჯით საქართველოს მხრიდან. როგორც ჩანს, დღეისთვის ყველაფერი ამით შემოიფარგლება. რუსეთში არ ხდება რუსი სამხედროების და ოსური ფორმირებების ქმედებების გამოძიება. რაც შეეხება საქართველოს, მე ვიცი, რომ მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ ჩემს კოლეგებს შეხვედრები ჰქონდათ მაღალი რანგის თანამდებობის პირებთან, პროკურატურის ხელმძღვანელებთანაც. მათ განუცხადეს, რომ პროკურატურა განიხილავს მოხსენებაში მითითებულ შემთხვევებს. ჩვენ გვინდა, ამის იმედი გვქონდეს, თუმცა ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა. ის, რომ საქართველოში კონფლიქტის შემსწავლელი საპარლამენტო კომისია შეიქმნა, ძალიან კარგია. რუსეთში მსგავსი რამ არ მომხდარა.

**- რაც შეეხება მოხსენებში მოყვანილ ფაქტებს. იმ თავში, რომელიც ქართული მხარის ქმედებებს ეძღვნება, ორგანიზაცია მიუთითებს ომის წარმოების წესების დარღვევაზე, შეიარაღების არაშერჩევით გამოყენებაზე და ა.შ. რაც შეეხება რუსულ მხარეს, რამდენჯერმე ნახსენებია სამხედრო დანაშაული. შეგიძლიათ განმარტოთ, რა მიიჩნევა ამ შემთხვევაში სამხედრო დანაშაულად? შეიძლება ითქვას, რომ ქართული მხრიდან ასეთი ფაქტები არ ყოფილა?**

- ჰუმან რაითს უოთჩი არ არის საბოლოო ინსტანცია, რომელიც დანაშაულის ფაქტს ადგენს. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარკვეულ ქმედებას შეიძლება მიეცეს სამხედრო დანაშაულის კვალიფიკაცია. ის, რაც ეთნიკურად ქართულ სოფლებში ხდებოდა, რეალური ეთნიკური წმენდა იყო. ეს იყო ამ ტერიტორიიდან მოსახლეობის სისტემატიზებული, მიზანმიმართული, ძალიან სასტიკი გაძევება. რა მოუვიდათ იქ მცხოვრებ სამოქალაქო პირებს? იწვებოდა სახლები, მიდიოდა საყოველთაო მაროდიორობა, იყო მკვლელობის შემთხვევებიც. ოსური ფორმირებების ამგვარი ქცევა იმ ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთის მიერ კონტროლდებოდა, შეიძლება აღიარებულ იქნეს სამხედრო დანაშაულად. ეს არის ის, რისი გამოძიებაც აუცილებელია. რაც შეეხება დარღვევებს ქართული მხრიდან. რა თქმა უნდა, ჩვენ დავაფიქსირეთ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები. ეს იყო არაშერჩევითი ძალის გამოყენება. გრადის დანადგარის გამოყენება არც ერთ შემთხვევში არ შეიძლება იმ რაიონებში, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობა ცხოვრობს. ჩვენ ვიცით ამაზე საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია - მათ ეგონათ, რომ მოხდა მოსახლეობის მასობრივი ევაკუაცია და ცხინვალში საერთოდ აღარ იყვნენ მშვიდობიანი მოქალაქეები...

**- თქვენ პირადად ასე გითხრეს?**

- მე ეს წაკითხული მაქვს და ვიცი, რომ ამგვარი პასუხი არაერთხელ გაჟღერებულა. ჩვენ დავაფიქსირეთ სხვა ფაქტებიც. როდესაც ქვეითი ჯარი ქალაქში შედიოდა, ტანკებიდან საცხოვრებელი სახლების მიმართულებით გასროლები ხდებოდა. იყო საკმაოდ რთული შემთხვევებიც, როდესაც გაურკვეველი იყო, დარღვევას ჰქონდა ადგილი თუ არა. მაგალითად, ტანკიდან გასროლა მოხდა სარდაფის მიმართულებით, სადაც, აშკარა იყო, მშვიდობიანი მოსახლეობა იმყოფებოდა, თუმცა, იმავდროულად, მათ შორის იყვნენ ოსი მებრძოლებიც. ამ შემთხვევაში სამოქალაქო ობიექტი შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურ სამხედრო სამიზნედ. ამიტომ, ასეთი შემთხვევები მოხსენებაში არ შესულა. ჩვენ დავაფიქსირეთ დაკავებულებთან სასტიკი მოპყრობის ფაქტები, მათი ცემა და ა.შ. თუმცა, ქართული შეიარაღებული ძალების მხრიდან წამების, გაუპატიურების შემთხვევები ჩვენ არ დაგვიფიქსირებია. მინდა ვთქვა, რომ ჩვენ არ ვცდილობთ იმის გარკვევას, ვინ უკეთესია და ვინ უარესი, ასევე ჩვენ არც ის გვეხება, თუ ვინ დაიწყო პირველმა. ეს მნიშვნელოვანი საკითხია და მას შეისწავლიან, მაგრამ ეს არის კითხვა ისტორიკოსებისა და პოლიტიკოსებისთვის, უფლებათადამცველი ორგანიზაციის საქმიანობასთან კი პირდაპირი კავშირი არა აქვს. ყველა დარღვევა გამოძიებულ უნდა იქნეს და ყველა დამნაშავე პასუხისგებაში მიეცეს - ეს ერთადერთია, რაც დღეს გვაინტერესებს. რა თქმა უნდა, ადამიანები თავიანთ სახლებში უნდა დაბრუნდნენ. სხვა დანარჩენი ჩვენს კომპეტენციას სცილდება. თუმცა, როგორც ჩვენ ამას არაერთხელ აღვნიშნავდით, იმ პროპაგანდამ, რომელსაც რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კონფლიქტის გარშემო აწარმოებდნენ, ძალიან სერიოზულად იმოქმედა მდგომარეობაზე რეგიონში. პროპაგანდა და დეზინფორმაცია ორივე მხრიდან მრავლად იყო. როგორც რუსეთში მცხოვრებ ადამიანს, უფრო იმაზე შემიძლია ლაპარაკი, როგორ შუქდებოდა კონფლიქტი რუსეთში. თუმცა, უნდა ვთქვა, რომ ჰუმან რაითს უოთჩს ორჯერ საჯაროდ მოუხდა იმის უარყოფა, რასაც პრეზიდენტი სააკაშვილი, ჩვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამახინჯებით აცხადებდა. რუსეთზე რომ ვილაპარაკოთ, საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან რამდენიმე საათში ტელევიზიით აცხადებდნენ, რომ სამხრეთ ოსეთში ქართველების მიერ გახსნილი ცეცხლის შედეგად ორი ათასამდე მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. სამხრეთ ოსეთი ძალიან პატარაა და საშინელია ამ ადამიანებისთვის იმის გაცნობიერება, რომ მოკლე დროში მათ თავისი პატარა ერის ძალიან დიდი პროცენტი დაკარგეს. ასევე მასმედიის საშუალებებში ვრცელდებოდა ინფორმაცია, და ამას ოფიციალური პირებიც იმეორებდნენ - პრეზიდენტის ჩათვლით, ქართული ჯარების მიერ ჩადენილი საზარელი დანაშაულებების შესახებ - გაუპატიურებები, ფეხმძიმე ქალების მკვლელობები, ჩვილ ბავშვებზე ტანკებით გადავლა, ქალებისა და ბავშვების გადაწვა ეკლესიაში...

**- რომელიმე ეს ამბავი დადასტურდა?**

- არა. ჩვენ პატიოსნად ვცდილობდით, რომ გვეპოვა...

**- როგორ მუშაობდით ცხინვალში? იყენებდით ოფიციალურ ცნობებს, თვითმხილველთა ინფორმაციას, ფაქტებს თავად ადგენდით? რამდენად ენდობოდით თუნდაც თვითმხილველთა ჩვენებებს?**

- ჩვენი ორგანიზაცია, რასაკვირველია, ყოველთვის ითხოვს ოფიციალურ ინფორმაციას. თუმცა, კონფლიქტის ზონაში 10 აგვისტოს მოვხვდით და იმ დროისთვის რაიმე ოფიციალური ინფორმაციის მოპოვება სრულიად შეუძლებელი იყო. ერთადერთი ინფორმაცია, რომელსაც სერიოზულად ვეყრდნობით, პირველწყაროს ინფორმაციაა. ჩვენ დაზარალებულებისა და თვითმხილველების გამოკითხვას ვატარებთ. ყველა სხვა ინფორმაციას ვიყენებთ სივრცეში ორიენტირებისთვის ანუ როდესაც პიროვნება მეუბნება: მათ ჩვილ ბავშვებს ტანკებით გადაუარეს, მე ვეკითხები: შენ ეს ნახე? მპასუხობს: მე არ მინახავს, მაგრამ ხალხი ასე ლაპარაკობს. ვინ თქვა, კონკრეტულმა პირმა? დიახ, - მეუბნება, - ვასიამ მითხრა. ე.ი. უნდა შევეცადოთ, ვასია ვიპოვოთ. თუ ვასია ამბობს, რომ მას ამის შესახებ ფედიამ მოუყვა, უნდა ვიპოვოთ ფედია. ჩვენ ბოლომდე ვცდილობდით გარკვევას, სანამ ჩიხში არ აღმოვჩნდებოდით ხოლმე. რაც შეეხება თითქოს ეკლესიაში ადამიანების დაწვას, აქ რაღაც ფანტასმაგორიული ხდებოდა. როდესაც სამხრეთ ოსეთში სულ ახალი ჩასულები ვიყავით, გვითხრეს, რომ აუცილებლად უნდა წავსულიყავით ხეთაგუროვოში, რიმელიც ცხინვალიდან ექვს კილომეტრშია. იქ თითქოს რაღაც საზარელი მოხდა - ქალები და ბავშვები ეკლესიაში ჩაკეტეს და დაწვეს. ჩვენ ჩავედით ხეთაგუროვოში, ეკლესიაც ვნახეთ, დავიწყეთ ხალხის გამოკითხვა. გაირკვა, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა. დავბრუნდით ცხინვალში და ვკითხეთ ინფორმაციის და ბეჭდვის კომიტეტის ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელმაც გვითხრა, რომ ეს არა ხეთაგუროვოში, არამედ სარაბუკში მოხდა. ამ დროისთვის ეკლესიის ამბავი რუსულ მედიაში უკვე გავრცელებული იყო. სარაბუკში სექტემბრის დასაწყისში ჩავედით. იქაც არავინ იცოდა დამწვარი ეკლესიის შესახებ და ეს ამბავი ძალიან უკვირდათ. შემდეგ ჩვენმა ორგანიზაციამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან სავსებით ოფიციალური წერილი მიიღო, სადაც ნათქვამი იყო, რომ ჩვენ ყურადღება უნდა მიგვექცია ქართული მხარის მიერ ჩადენილი დანაშაულებებისთვის. სხვა ყველაფერთან ერთად, წერილში ნახსენები იყო ეკლესიის ამბავიც, რომელიც თითქოს სოფელ დმენისში მოხდა, მაგრამ სინამდვილეში ეკლესია არც დმენისში დაუწვავთ.

**- ეს ყველაფერი ოფიციალურ რუსულ მასალებში იყო მითითებული?**

- იმ წერილში ბევრი შემთხვევა იყო ჩამოთვლილი, მათ შორის ისინი, რაზეც ჩვენ ვმუშაობდით და რის დოკუმენტირებასაც ვახდენდით, რაც სიმართლეს შეესაბამებოდა. იქ ჩამოთვლილი რაღაც ფაქტები ჩვენ ვერ დავადასტურეთ. წერილში მითითებული იყო დმენისის დამწვარი ეკლესია. შემდეგ გამოვიდა ოფიციალური როსიისკაია გაზეტა , სადაც უკვე სოფელი წინაგარი იყო ნახსენები. მაგრამ ეკლესია არც წინაგარში დაუწვავთ. ასეთი რამ საერთოდ არსად მომხდარა.

**- თქვენ იცნობთ რუსეთის პროკურატურის მასალებს?**

- მხოლოდ იმ ანგარიშს, რაც მათ პრესკონფერენციაზე წარადგინეს. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ თბილისში ყოფნისას ხელისუფლებას შეხვედრას და ინფორმაციის მოწოდებას ვთხოვდით. შეხვედრები შედგა, მივიღეთ ყველა ინფორმაცია, რაც გვაინტერესებდა. რუსეთში იმავეს ვცდილობდით, მაგრამ ჩვენს მრავალრიცხოვან წერილებს, უბრალოდ, არ პასუხობდნენ და ასე გაგრძელდა მოხსენების გამოსვლის დღემდე. ჩვენ მაშინ პრესკონფერენციაზე განვაცხადეთ, რომ რუსეთის ოფიციალური პოზიციის შესახებ მთელი ინფორმაცია მასმედიიდან მოვიპოვეთ, რადგან, ჩვენი თხოვნის მიუხედავად, ამ ხალხთან შეხვედრის საშუალება არ მოგვეცა. თუმცა, არაფორმალურად მისაუბრია პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის თანამშრომლებთან, რომლებიც უშუალოდ ადგილზე მუშაობდნენ. მათ ისიც არ იცოდნენ, ვინ ვიყავი. საგამოძიებო კომიტეტმა წლის ბოლოს განაცხადა, რომ მათ თავისი სამუშაო ბოლომდე შეასრულეს და ადამიანთა დაღუპვის 162 შემთხვევა დააფიქსირეს, თუმცა არ უთქვამთ, იყვნენ თუ არა ისინი მხოლოდ სამოქალაქო პირები. მე ვვარაუდობ, რომ მათ შორის სამოქალაქო პირებიც არიან და მებრძოლებიც.

**- ოსურ სტრუქტურებს თავისი მონაცემები აქვთ, რაც რუსეთის ვერსიისგან განსხვავდება...**

- დიახ, როგორც მე ვიცი, სამხრეთ ოსეთის პროკურატურა აცხადებს, რომ დადასტურებული მსხვერპლის რაოდენობა, მათი მონაცემებით, 330-მდეა და კიდევ ათასი - დაუდასტურებელია. ეს ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა, ამას პროკურატურის თანამშრომლები გვეუბნებოდნენ. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში რუსეთის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტს ვენდობი. ჩვენ მათ, რასაკვირველია, ყოველთვის არ ვენდობით. მაგრამ ამჯერად მათ სამხრეთ ოსეთში ორასი პროფესიონალი მიავლინეს კონკრეტული დავალებით - აღმოაჩინონ რაც შეიძლება მეტი დარღვევა ქართული მხრიდან, რათა შემდეგ ეს ყველაფერი იმავე ევროპულ სასამართლოს წარედგინოს. თუ მათ მეტის დოკუმენტირება ვერ შეძლეს, ესე იგი ამას თავისი მიზეზები აქვს.

**- ამ შემთხვევაში არის თუ არა გამართლებული გენოციდის კვალიფიკაცია, რომელიც რუსულმა პროკურატურამ ქართული მხარის ქმედებებს მისცა?**

- ჰუმან რაითს უოთჩის აზრით, სამხრეთ ოსეთში საქართველოს შეიარაღებული ძალების ქმედებებში გენოციდის ნიშნები არ ყოფილა. გენოციდი სავსებით კონკრეტული დანაშაულია, განსაზღვრული საერთაშორისო კონვენციით. საინტერესოა რომ, გენოციდის განმარტება რუსულ კანონმდებლობაში სრულად შეესაბამება კონვენციას. ჩვენ აქ გენოციდის ნიშნებს ვერ ვხედავთ. რაც შეეხება ციფრებს. დასახელდა 162 დაღუპული. ჩვენ ამის დათვლის საშუალება არ გვქონდა, მაგრამ ჩვენ არც იმის მიზეზები გვაქვს, რომ არ დავეთანხმოთ აღნიშნულ ინფორმაციას. ინფორმაცია ორი ათასი დაღუპულის შესახებ არაფრით ყოფილა დასაბუთებული, ის არავის არასდროს დაუდასტურებია რაიმე კონკრეტული ინფორმაციით.

**- რუსული მედია სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მონაცემებს ეყრდნობა. რუსული საინფორმაციო სააგენტოების ბექგრაუნდებში ეს ინფორმაცია დღესაც არის ჩასმული...**

- დიახ, დღემდე ასეა და ამას დღემდე სიმართლედ მიიჩნევენ ადამიანები როგორც რუსეთში, ასევე სამხრეთ ოსეთში. ამ თვალსაზრისით, კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივები საკმაოდ მძიმედ გამოიყურება. ძალიან ბევრს ჰგონია, რომ ქართული ძალების ქმედებების გამო ორი ათასი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, თანაც მასობრივი ევაკუაციის შემდეგ. ანუ თითქოს ყველა დაიღუპებოდა ევაკუაცია რომ არ ყოფილიყო, თითქოს ქალებსა და ბავშვებს საშინელებებს უკეთებდნენ. ამ პირობებში როგორ უნდა გაგრძელდეს ცხოვრება? ძალიან მნიშვნელოვანია, რუსეთის ოფიციალურმა პირებმა განაცხადონ, რომ იყო შეცდომები, რომ სინამდვილეში ასე არ ყოფილა, რომ საჭიროა, ცოტა დავწყნარდეთ. ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს.

**- ოსური წყაროების ინფორმაციით, ლიახვის ხეობის ქართული სოფლების ადგილას ახალი მიკრორაიონის, ასევე აეროპორტის მშენებლობა იგეგმება. თქვენ შეგიძლიათ ამის დადასტურება?**

- შემიძლია გითხრათ ის, რაც თავად ვნახე - მიკრორაიონი მოსკოვსკი მართლაც შენდება და ნაწილობრივ ფარავს სოფელ თამარაშენის ტერიტორიას.

**- ამას როგორ შეფასებას მისცემდით?**

- გარანტირებული უნდა იყოს ადამიანების უფლება დაბრუნებაზე. ყველას უნდა ჰქონდეს თავის მიწაზე დაბრუნების საშუალება, თუნდაც განადგურებული იყოს სახლები. ამ მხრივ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება რუსულ ძალებს. სახლების დაწვით და მაროდიორობით ოსი მოხალისეები იყვნენ დაკავებულნი. ისინი ღიად გვეუბნებოდნენ: აქ არც ერთი სახლი არ უნდა დარჩეს, რათა ქართველები აქ აღარ დაბრუნდნენ. ეს სავსებით მიზანმიმართულად ხდებოდა. რუსეთი თითქოს არაფერ შუაშია, მაგრამ რუსეთს ეკისრება პასუხიმგებლობა - დაამყაროს ეფექტური კონტროლი ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე. რუსი სამხედროები კი ამ ყველაფერს მშვიდად უყურებდნენ და არაფერს აკეთებდნენ. იყო საკმაოდ მოკლე პერიოდი, რომელმაც ჩვენ დიდი იმედი მოგვცა, თუმცა შემდეგ, სამწუხაროდ, არ გამართლდა. ცხინვალთან მიახლოებისას ცეცხლში გახვეული ქართული სოფლები დავინახეთ. ამაზე დიდი ხმაური ავტეხეთ. ამის შესახებ არა მხოლოდ უცხოურმა, არამედ რუსულმა მედიამაც დაწერა. 13 აგვისტოს, დღის მეორე ნახევარში, რუსულმა ძალებმა ბლოკპოსტები დააყენეს დიდი ლიახვის ხეობის სოფლების შესასვლელთან და იქ ოს მოხალისეებს აღარ უშვებდნენ. მას შემდეგ ჩვენ თვალწინ ხანძრების და მაროდიორობის დონემ რადიკალურად იკლო. ჩვენ ძალიან გაგვიხარდა, გვეგონა, რომ ჩვენმა ინფორმაციამ რაღაც საშინელება შეაჩერა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბლოკპოსტებმა მხოლოდ ერთი კვირა გაძლო, ისინი განმარტებებისა და კომენტარების გარეშე მოხსნეს. აგვისტოში სოფლები ჩვენ თვალწინ იწვოდა. როდესაც სექტემბერში ჩავედით, ეს სოფლები, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა. რუსეთს ეს უნდა შეეჩერებინა. მაშინ, როცა ძალადობის შეჩერება რამდენიმე დღით მოხერხდა, რუსეთმა დაამტკიცა, რომ ეს მას შეეძლო, მაგრამ არ გააკეთა.

**- თქვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები აფხაზეთში, კოდორის ხეობაში თუ იმყოფებოდნენ?**

- ჩვენ არც ისე ბევრნი ვართ. ჰუმან რაითს უოთჩი დიდი საერთაშორისო ორგანიზაციაა, მაგრამ ჩვენ 70 ქვეყანაში ვმუშაობთ. ხალხი, ვისაც ამ ომში შეეძლო მუშაობა, საკმაოდ ცოტა გვყავდა. ბუნებრივია, ავირჩიეთ რეგიონი, სადაც აქტიური საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა.

**- აპირებთ აფხაზეთში სიტუაციის შესწავლას?**

- წელს ვაპირებთ. იმედი მაქვს, ამას მოვახერხებთ. მე კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა - რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩვენთვის გამოგზავნილ წერილში აღნიშნა, რომ რუსულმა ძალებმა ყველაფერი გააკეთეს მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის ქართულ სოფლებში, თავად სოფლები კი თითქოს ქართულმა ძალებმა გადაწვეს უკან დახევისას. მე არ ვიცი, ამაზე რა ვთქვა... ვიცი, რომ არსებობს ხალხი, ვინც ამას დაიჯერებს. ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რადგან ჩვენი თვალით ვნახეთ, რაც ხდებოდა. ის ხალხი, ოსი მოხალისეები, რომლებიც სოფლებს ცეცხლს უკიდებდნენ, თავის ქმედებებს ორი რამით ამართლებდნენ - მათ ორი ათასი ადამიანი დაეღუპათ და ქართველები ქალებს აუპატიურებდნენ და ბავშვებს ტანკებით ჭყლეტდნენ. მიმაჩნია, რომ ამაზე პასუხისმგებლობა რუსულ პროპაგანდას ეკისრება.

**- დეზინფორმაციამ აგრესიის პროვიცირება მოახდინა?**

- ნაწილობრივ ეს ასეა. ამ ყველაფერმა დიდწილად იმოქმედა ადამიანების ცნობიერებაზე, იმაზე, რისი გაკეთებაც მათ შესაძლებლად და დასაშვებად ჩათვალეს.

# კანონმდებლობა მოძველებული ავტომობილებისთვის

*ნახმარი ავტომობილების რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ საქართველოში მოძრაობის გადატვირთვა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია. სიტუაციიდან გამოსავლად ზოგიერთი ექსპერტი ძველი ავტომობილების იმპორტზე აქციზის განაკვეთის გაზრდას მიიჩნევს. ზოგიერთი კი საშველს ავტომობილების ტექნიკური შემოწმების გამკაცრებაში ხედავს.. ამ თემაზე ქართველი კანონმდებლები და სპეციალისტები აქტიურად მუშაობენ. საინტერესოა, როგორ რეგულირდება ნახმარი ავტომობილების იმპორტი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (გასაგებ მიზეზთა გამო, მსგავსი პრობლემა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არ არსებობს).*

ამ პრობლემის გამოსაკვლევად საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტის ანალიტიკურმა განყოფილებამ მეზობელი ქვეყნების მაგალითზე სპეციალური ანალიზი გააკეთა და დაადგინა, რომ ავტოტრანსპორტის იმპორტისას პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ძირითადი აქცენტი აქციზის გადასახადზე კეთდება, თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში სხვა სახის გადასახადებიც გვხვდება - ავტომობილის ასაკისა და ძრავის მოცულობის გათვალისწინებით.

კერძოდ, რუსეთის ფედერაციაში იმპორტირებული ავტომობილების განბაჟებისას გადასახადის გადახდა ხდება, როგორც ავტომობილის საბაჟო ღირებულების, ასევე გამოშვების თარიღის გათვალისწინებით, ხოლო 67,5 კილოვატამდე (90 ცხენის ძალამდე) სიმძლავრის მქონე ავტომობილები აქციზის გადასახადს არ ექვემდებარება. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებელი ქვეყანა რუსეთია და ავტომობილი სამ წლამდე ასაკისაა, მისი გადასახადი გაცილებით კლებულობს, ასეთი პოლიტიკით რუსეთი საკუთარი ავტომობილების წარმოებისა და გასაღების ხელშეწყობას ცდილობს. მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, რუსეთში კვლავ განიხილება ნახმარ იმპორტულ ავტომობილებზე ბაჟის გაზრდის საკითხი. რუსეთის ფედერაციის ფინანსთა მინისტრის განცხადებით, აუცილებელია 7 წელზე მეტი ხნის ავტომობილების შეტანის შეზღუდვა, რითაც, ქვეყანაში, ფაქტობრივად, შეიზღუდება მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მანქანების შეტანა. ამასთანავე, მოხდება ახალ ავტომობილებზე გადასახადების დაწევა.

რაც შეეხება ყაზახეთს, აქ საბაჟო კანონმდებლობით, შეტანილი ავტომობილის შეფასების 6 მეთოდი გამოიყენება. მათ შორის ძირითადი ემყარება ყიდვა-გაყიდვის გარიგების შედეგად დადგენილ ფასს. თუ არ არსებობს ფასის დოკუმენტურად დადასტურებული ოდენობა, მაშინ საბაჟო თვითონ ადგენს განსაბაჟებელი ავტოტრანსპორტის სავარაუდო ღირებულებას. ამისათვის გამოიყენება გერმანული კატალოგი **Superschwacke** , რომელშიც მოცემულია 1993 წლიდან დღემდე ევროპაში გამოშვებული ავტომობილების ფასები.

უკრაინაში 2006 წლის დეკემბერში შევიდა ცვლილება კანონში უკრაინის საბაჟო ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების შემოტანისა და რეგისტრაციის შესახებ". ამ ცვლილებით 2007 წლიდან გაუქმდა აკრძალვა ავტომობილების იმპორტზე, რომელთა ასაკიც 8 წელზე მეტია. სამაგიეროდ, მათი რეგისტრაციისთვის მაღალი გადასახადი დაწესდა. ეს კანონი, ექსპერტების შეფასებით, ფორმალურად ათანხმებს უკრაინის კანონმდებლობას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ნორმებთან.

უკრაინელი ექსპერტების გაანგარიშებით, შემოღებული მაღალი გადასახადების შედეგად ნახმარი მსუბუქი ავტომობილების იმპორტი ქვეყანაში შემცირდება და ბაზარზე გაიზრდება მოთხოვნა მსგავსი ტიპის ახალ ავტომობილებზე.

აზერბაიჯანში 2007 წლის დასაწყისში ავტომობილების იმპორტირებისას აქციზის გადასახადის გაზრდის გამო ავტოტრანსპორტის იმპორტი 20-25 პროცენტით შემცირდა, მაგრამ როგორც აზერბაიჯანელი ანალიტიკოსები აცხადებენ, განვადებით ავტომობილების გასაღების შედეგად, ქვეყანაში გაიზრდება ახალი ავტომობილების რიცხვი. აზერბაიჯანის საავტომობილო დილერების ასოციაციის თავმჯდომარის თქმით, მსგავსი ზომები მისაღებია მაშინ, როცა ქვეყანა თვითონაა ავტომობილების მწარმოებელი. აზერბაიჯანში კი საავტომობილო მრეწველობა, ფაქტობრივად, არ არსებობს." გარდა ამისა, აზერბაიჯანი ასევე გეგმავს ახლო მომავალში უცხოეთიდან ავტომობილების იმპორტის შეზღუდვას.

მილი მეჯლისის სოციალური პოლიტიკის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მუსა გულიევმა განაცხადა, რომ საქონელი მაშინაა ხარისხიანი, როცა ის ახალია და ცუდი არ იქნება, თუ ქვეყანაში შეტანილი ავტომობილებიც ახალი იქნება. თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ შეიძინონ ახალი, თანამედროვე და ძვირი ავტომანქანა. შეიძლებოდა აზერბაიჯანში ნახმარი ავტომობილების იმპორტის აკრძალვა, მაგრამ ეს ზიანს მიაყენებს სახელმწიფო ბიუჯეტს. მისივე აზრით, შესაძლებელია შეზღუდვების შემოღება: ევროპაში წარმოებული ავტომობილი 5 წელზე მეტი ასაკის არ უნდა იყოს, რაც საკმაოდ გააუმჯობესებს ეკოლოგიურ სიტუაციას ქვეყანაში.

ახლო მომავალში აღნიშნული საკითხი განიხილება საკანონმდებლო დონეზე. აზერბაიჯანში უცხოური ავტომობილების 60 პროცენტი ნახმარი და მოძველებულია.

სომხეთში მანქანების იმპორტზე აქციზის გადასახადი არ არის დაწესებული, მაგრამ 2007 წლის იანვრიდან ეკოლოგიური მოსაზრებებით, ნახმარი ავტომობილების იმპორტი სომხეთში გარემოსდაცვითი გადასახადით იბეგრება. გარემოსდაცვითი გადასახადების რაოდენობის შესახებ კანონის მიხედვით 5-დან 10 წლამდე ავტომობილების ბეგარა შეადგენს საბაჟო ღირებულების 2 პროცენტს, 10-დან 15 წლამდე მანქანის გადასახადი - 10, 15 წელზე მეტი ასაკისა კი - 20 პროცენტს.

სომხეთში შეტანილი ავტომობილების ნახევარზე მეტი 15 წელზე მეტი ხნისაა და მათი ფასი 5-6 ათას დოლარამდე მერყეობს. სპეციალისტების აზრით, განბაჟება ამ მანქანებს 200-400 დოლარით გააძვირებს და ეს მაინც ვერ აიძულებს მყიდველს, უარი თქვას ნახმარ ავტომობილზე. პირიქით, კანონმა შეიძლება კორუფციული რისკების ზრდა და სოციალური დაძაბულობაც კი გამოიწვიოს. 2006 წელს სომხეთში გაიყიდა 25000 ავტომობილი, საიდანაც მხოლოდ 3 პროცენტი იყო ძვირადღირებული.

ლატვიაში 2004 წლის პირველ მაისამდე ავტომობილები და მოტოციკლები ერთნაირი აქციზით იბეგრებოდა. შემდეგ გადაწყდა მათი დიფერენცირება. აქციზის გადახდა ხდება ავტომობილის პირველადი რეგისტრაციის დროს. გადასახადი დამოკიდებულია ავტომობილის ასაკზე.

ლიტვაში თუ ავტომობილის იმპორტზე აქციზის გადასახადი არ არის დაწესებული,

ბულგარეთში აქციზის გადასახადის ოდენობა ავტომობილის ძრავის სიმძლავრეზეა დამოკიდებული. სლოვენიაში კი აქციზის გადასახადი ავტომობილის საბაჟო ღირებულების პროპორციულია. აქციზის გადასახადს არ ექვემდებარება 30 წელზე მეტი ასაკის ავტომობილები.

**ამრიგად, ჩამოთვლილ ქვეყნებში ნახმარი ავტომობილების იმპორტზე გადასახადები მიმართულია, პირველ რიგში, ბიუჯეტის შევსებასა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. გადასახადის ოდენობა და სახეობებიც შედარებით მცირეა ან საერთოდ არ არის იმ ქვეყნებში, რომლებსაც ავტომობილების საკუთარი წარმოება არ გააჩნიათ.** - აღნიშნულია პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტის ანალიტიკური განყოფილების მიერ გაკეთებულ კვლევაში.

# ეფექტური სასამართლოსთვის

მიშა მეფარიშვილი

ბაკურიანში დასრულდა კონფერენცია, რომელიც სამართალწარმოების ვადების გადასინჯვას მიეძღვნა. კონფერენცია საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ჩაატარა "სასამართლო ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტთან" თანამშრომლობით. კონფერენციის მიზანი ქართულ სასამართლოებში დღეისთვის მოქმედი სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის ვადებისა და სტატისტიკური მონაცემების გაანალიზება იყო.

კონფერენციაზე საერთაშორისო ორგანიზაციების, ექსპერტებმა მიმოიხილეს აშშ-ში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და ნორვეგიაში მოქმედი საპროცესო ვადები და ეს ვადები საქართველოში მოქმედ გონივრულ ვადებს შეადარეს.

ექსპერტებმა და მომხსენებლებიმა, მათ შორის საქართველოს სასამართლოების ხელმძღვანელმა პირებმა იმსჯელეს დღეისთვის მოქმედ საქმეთა განხილვის ვადებზე და საქმეთა განხილვის დაყოვნების მიზეზზე.

კონფერენციის ბოლოს, შეხვედრის მონაწილეები - მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები და საერთაშორისო ექსპერტები, ჯგუფებად დაიყვნენ და სხვადასხვა კატეგორიის საქმეებზე გონივრულ ვადებზე იმსჯელეს.

"სასამართლო ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის პროექტი"(USAID JAMR) არის აშშ-ის საერთაშორისო სააგენტოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთობლივი ინიციატივა, რომელსაც აფინანსებს აშშ-ის საერთაშორისო სააგენტო.

პროექტის განხორციელება 2007 წელს დაიწყო და 2011 წლამდე გაგრძელდება, მისი მიზანი სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მისი ინსტიტუციურობის გაძლიერებაა. კერძოდ, სასამართლოს ოპერციების, მათ შორის საქმეთა ნაკადის მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გაუმჯობესება, პროფესიონალი სასამართლო ადმინისტრატორის ინსტიტუტის ამოქმედება, სასამართლოს შესაძლებლობების გაუმჯობესება ბიუჯეტის ფორმულირებისა და მართვის კუთხით, სასამართლოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობების გაუმჯობესება.

## სეპარატისტების განცხადება

ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების მტკიცებით, "ქართულმა ძალოვანმა სტრუქტურებმა 13 წლის მოზარდი გაიტაცეს და დაკითხეს". დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ცხინვალის რაიონის სოფელ ორტევის მცხოვრები 13 წლის ალან შავერდოვი ქართულმა სპეცსამსახურებმა 13 თებერვალს გაიტაცეს. "13 თებერვალს, 13 წლის შავერდოვი ქართული სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა გაიტაცეს, რომლებმაც, როგორც აღმოჩნდა, საქართველოს ტერიტორიაზე, სოფელ ფლავის სასაფლაოზე შეაღწიეს. მოზარდი პირუტყვს ეძებდა, მან არ იცოდა, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადადიოდა და საკუთარი შინაური პირუტყვის გამოდევნა დაიწყო. ამ მომენტში ის ქართულმა ძალოვანმა სტრუქტურებმა გაიტაცეს. ბავშვი პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს, სადაც იგი დაკითხეს და გაუშვეს," - აცხადებენ დე ფაქტო პრესსამსახურში.დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროში აღნიშნავენ, რომ მოზარდი "სამხრეთ ოსეთის სამხედრო ტექნიკის შესახებ დაკითხეს.

**პირველი**

## თავდებით შეცვლილი გირაო

ქუთაისის პროკურატურამ მოძრაობის ერთიანი საქართველოსთვის" მოთხოვნა დააკმაყოფილა და აგვისტოს ომის დროს დაღუპული ჯარისკაცის თამაზ ნიკიტინის დედას, ნელი მჭედლიძეს 10000 ლარის ოდენობის გირაო თავდებით შეუცვალა.

მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის წევრების მტკიცებით, რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული ჯარისკაცის თამაზ ნიკიტინის ოჯახის წევრებს სდევნიდნენ. ჯარისკაცის დედა ნელი მჭედლიძე და მისი მეუღლე ქუთაისის პროკურატურაში დაიბარეს და ბრალად შვილის დაღუპვის გამო საკომპენსაციო თანხის უკანონოდ მითვისება დასდეს ბრალად, რის გამოც, დაღუპულის ოჯახის წევრებს გირაოს გადახდა შეეფარდათ. თანხა მათ 6 თებერვლამდე უნდა გადაეხადათ.

**პირველი**

## უკრაინის შს მინისტრის მოთხოვნა

სააგენტო "ლენტა.რუ"-ს ინფორმაციით, უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოსა და მოლდოვასთან სავიზო რეჟიმის შემოღებას ითხოვს.

სააგენტოს ინფორმაციით, უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა იური ლუცენკომ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით მიმართა, საქართველოსთან და მოლდოვასთან სავიზო რეჟიმის შემოღების შესაძლებლობა განიხილოს.

ლუცენკოს განცხადებით, უკრაინაში მოქმედებენ მთელი რიგი კრიმინალური დაჯგუფებები, რომელთა შორის საქართველოს მოქალაქეები მრავლად არიან, რაც შეეხება მოლდოვას, ლუცენკოს განცხადებით, მისი მოქალაქეები უკრაინას, სლოვაკეთსა და პოლონეთს ტრანზიტისთვის იყენებენ.

"სავიზო რეჟიმის შემოღება წერტილს დაუსვამს ეთნიკურ-კრიმინალური დაჯგუფებების არსებობას ქვეყანაში, რომლებიც უკრაინაში ბოლო დროს სულ უფრო გაძლიერდნენ", - აცხადებს უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი.

იური ლუცენკო აცხადებს, რომ საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს, თუმცა, სამწუხაროდ, უკრაინაში დღეს 150 ყაჩაღური ქართული ბანდა მოქმედებს და მისი თქმით, მათ წინააღმდეგ ქმედითი ზომების მიღებაა საჭირო.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## თურქული დროშით მცურავ გემს ჯარიმის გადახდა მოუწევს

შავი ზღვის დაცვის კონვენციის ინსპექციის უფროსი თამაზ დოლიძე არ გამორიცხავს, რომ თურქული დროშით მცურავ გემს პალა რეისს" საჯარიმო თანხა დაეკისროს.

თამაზ დოლიძის თქმით, გემზე აღმოჩენილი 50 ტონა თევზი ქაფშია" უკანონოდ იყო მოპოვებული.

14 თებერვალს, საქართველოს სასაზღვარო პოლიციის სანაპირო დაცვის თანამშრომლებმა ფოთში თურქული დროშით მცურავი გემი პალა რეისი" დააკავეს.

როგორც თამაზ დოლიძე აცხადებს, გემი, რეზეს პორტს ეკუთვნის. გემზე ეკიპაჟის 23 წევრი იყო. სასაზღვრო პოლიცის სანაპირო დაცვის სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბორტზე დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა" აღმოჩნდა.

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიებას რამდენიმე უწყება აწარმოებს. ამჟამად მიმდინარეობს მოკვლევა, ბუნებისთვის მიყენებული ზარალის შესახებ. ამასთანავე ზუსტდება, ნარკოტიკული ნივთიერებების ზუსტი ოდენობა.

**მედიანიუსი**

## სტაჟირება საჩხერის რაიონულ სასამართლოში

მიშა მეფარიშვილი

საჩხერის რაიონულ სასამართლოში სტაჟიორთა კონკურსი გამოცხადდა. კონკურსის მიზანია, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, მათი პროფესიული განვითარება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების სრულყოფა.

სტაჟირების კანდიდატი შეიძლება იყოს იურისტის კვალიფიკაციის უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი ან უმაღლესი იურიდიული სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი. სტაჟიორები შეირჩევიან კონკურსის წესით, ხოლო კონკურსი ჩატარდება გასაუბრების ან ტესტირების ფორმით.

კონკურსის წესით შერჩეული სტაჟიორები საჩხერის რაიონულ სასამართლოში გაივლიან სტაჟირების ექვსთვიან კურსს და სასამართლოს შესაბამისი მოხელის მეთვალყურეობით შეასრულებენ გარკვეულ დავალებებს. სტაჟირების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მიიღებენ სერთიფიკატს.

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 26 თებერვალი. სტაჟირების მსურველებმა საჩხერის რაიონული სასამართლოს სტაჟირების კომისიის სამდივნოში განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, CV, ორი ფოტოსურათი, დიპლომის ასლი ან ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან და ორი რეკომენდაცია.

განაცხადის შესავსებად განკუთვნილი ბლანკი გაიცემა საჩხერის რაიონული სასამართლოს საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მიერ.

სტაჟიორობის კანდიდატს უნდა შეეძლოს კომპიუტერთან მუშაობა, უნდა იცოდეს საქართველოს კონსტიტუცია, "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსების, საქართველოს სამოქალაქო და საპროცესო კოდექსების, საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტები.

# კანონით დაწესებული აკრძალვები კერძო დეტექტივებისთვის

*რუსეთის ფედერაციაში მომუშავე კერძო დეტექტივებს უფლებები შეეზღუდათ. მათ ჩამოერთვათ უფლება, დევნის განხორციელებისას გამოიყენონ ფარული კამერები და მოსასმენი აპარატურა. როგორც რუსული პრესა წერს, კერძო დეტექტიური საქმიანობის შესახებ კანონში შესული ცვლილება შერლოკ ჰოლმსის კოლეგებს მუშაობას მნიშვნელოვნად გაურთულებს.*

როგორც ირკვევა, რუსეთის ფედერაციაში ამჟამად 200 ათასი კერძო დეტექტივია. რუსული პრესა ვარაუდობს, რომ კანონში შეტანილი ცვლილებით, სახელმწიფო მათზე მკაცრი კონტროლის დაწესებას გეგმავს.

ამ ცვლილებით, კერძო დეტექტივი ვალდებულია სპეციალიზებული სასწავლებლის დამთავრების დამადასტურებელი დიპლომი ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის შესაბამის ლიცენზიას ვერ მოიპოვებს. კანონში შეტანილი ცვლილება კერძო დეტექტივის მხრიდან ნორმების დაღვევის შემთხვევაში მისი დასჯის პროცედურას ამკაცრებს. წესების დარღვევისთვის, კერძო დეტექტივს შვიდ წლამდე პატიმრობა ემუქრება.

კანონში შეტანილი ცვლილება დაქირავებულ დეტექტივებს, როგორც რიგით მოქალაქეებს, კატეგორიულად უკრძალავს მოსასმენი აპარატურისა და სხვადასხვა მოწყობილობების გამოყენებას, ასევე, იარაღის და ფიზიკური ძალის გამოყენებას.



*კანონში შესული ცვლილება შერლოკ ჰოლმსის კოლეგებს მუშაობას გაურთულებს.*

იარაღის გამოყენების უფლება, კერძო დეტექტივს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ექნება - თავდაცვის აუცილებელი ზომის გამოყენებისას.

გარდა ამისა, ახალი კანონით, კერძო დეტექტივები ვალდებული არიან, მოპოვებული ნებისმიერი ოპერატიული ინფორმაცია მილიციას შეატყობინონ. ამავე კანონით, მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის დამალვის შემთხვევაში, კერძო დეტექტივს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება.

კერძო დეტექტივს უფლება არ აქვს, თავი წარადგინოს სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლად. თავის მხრივ, მოქმედ მილიციელებს, გამომძიებლებსა და პროკურატურის თანამშრომლებს კერძო დაცვის სამსახურში მუშაობის უფლება არ აქვთ.

როგორც გაირკვა, კერძო დეტექტივებს რუსეთში ძირითადად ბიზნესმენები ქირობენ. ხშირია შემთხვევევბი, როდესაც დეტექტივებს ეჭვიანი წყვილებიც მიმართავენ.

რუსული პრესის ინფორმაციით, ხშირად კანონმორჩილ მოქალაქეებს არ სურთ, ოფიციალურად მიმართონ სამართალდამცველებს. მაგალითად, ხშირად, ბიზნესმენები ეჭვობენ, რომ მათ ფირმაში კონკურენტი ფირმისგან შეგზავნილი აგენტები მუშაობენ. ამ შემთხვევაში, მილიციის თანამშრომლები უძლურები არიან. კერძო დეტექტივს კი დამქირავებლის მოთხოვნით, შეუძლია ფარულად გამოარკვიოს, რომელი თანამშრომელია ამა თუ იმ ფირმაში კონკურენტის მიერ შეგზავნილი.

გარდა ეჭვიანი ცოლ-ქმრისა, კერძო დეტექტივებს ეჭვიანი მშობლებიც ქირაობენ, რომელთა მეშვეობითაც, საკუთარი შვილების შესახებ, ფარულად, ბევრ საინტერესო რამეს იგებენ.

როგორც გაირკვა, ყველაზე ხშირად, კერძო დეტექტივებს უგზო-უკვლოდ დაკარგული ოჯახის წევრებისა და ახლობლების მოსაძიებლადაც მიმართავენ. კერძო დეტექტივებისგან მოქალქეები ხშირად იმის გარკვევას მოითხოვენ, უთვალთვალებთ თუ არა მათ ვინმე.

არც ისე იშვიათად, კერძო დეტექტივები დაკავებული არიან ბუღალტრული საქმიანობის დეტალების გარკვევითაც.

კერძო დეტექტივის მომსახურების საფასური დამქირავებელთან წინასწარ არის შეთანხმებული. თანხის რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძნელი სამუშაო აქვს შესასრულებელი დეტექტივს. მომსახურების საფასური კონფიდენციალურია. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც თანხა დაწესებულია და წინასწარ არის განსაზღვრული. მაგალითად, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საპოვნელად კერძო დეტექტივის მომსახურება 4 ათასიდან 10 ათას მანეთამდე ღირს.

# „სიყვარულის საღამო" ვაკის საცურაო აუზში

სოფო ჩიხლაძე

14 თებერვალს, ვალენტინობის დღესთან დაკავშირებით ვაკის საცურაო აუზმა და ფიტნესკლუბმა სიყვარულის საღამო მოაწყვეს, რომელსაც აუზის კლუბის წევრები, მათი ახლობლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. ვალენტინობის დღესასწაულზე გამართული საღამო კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრს და ბენდს მიჰყავდა.

ვაკის საცურაო აუზი და ფიტნესკლუბი თბილისში 2004 წელს გაიხსნა და დედაქალაქში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჯანსაღი ცხოვრების წესის მოყვარულებისათვის აქ სრული კომფორტია შექმნილი და, შესაბამისად, ფასიც მაღალია. თუმცა, ამის მიუხედავად, ადამიანებს იქ შესასვლელად სიაში ჩაწერა და საკუთარი რიგის ლოდინიც კი უწევთ. **ჩვენი მიზანი არ არის, აუზში ბევრი ადამიანი იყოს. გვირჩევნია, ამ კომფორტით ერთდროულად 10-მა ადამიანმა ისარგებლოს და ნასიამოვნები წავიდეს,** - აღნიშნა 24 საათთან საუბრისას კომპანია ბაგები





სითი ჯგუფის პიარმენეჯერმა გიორგი ბოჭორიშვილმა.

დღეისათვის ვაკის საცურაო აუზსა და ფიტნესკლუბს 150 წევრი ჰყავს. ვალენტინობას კლუბის პირველ წევრს ვაკის საცურაო აუზმა აბონემენტი აჩუქა, რომლითაც 30-ჯერ შეუძლია ისარგებლოს, 10 შესვლის აბონემენტი კი სპონსორებს გადაეცათ. იყო სხვა საჩუქრებიც, რომელიც საღამოს აქტიურმა წევრებმა მიიღეს.

სიყვარულის დღესასწაულის მოწყობაში ვაკის საცურაო აუზის სპონსორები იყვნენ: თელიანი ველი , რომელმაც სიყვარულის საღამოზე 2007 წლის წინანდლის პრეზენტაციაც მოაწყო; მაღაზია რენე ლეზარდი , კომპიუტერული სამყარო , კომპანია პეგასი და ფოლკსვაგენის ჯგუფი, რომელმაც ფოლკსვაგენ ტიგუანი -ს პრეზენტაციაც გამართა. აღსანიშნავია, რომ ფოლკსვაგენმა სიყვარულის დღესთან დაკავშირებით ვაკის საცურაო აუზის და ფიტნესკლუბის წევრებს 2000-დოლარიანი ფასდაკლება შესთავაზა, რომელიც 10 დღეს გაგრძელდება. კლუბის წევრის რეკომენდაციის შემთხვევაში შესაძლებელია, ფასდაკლება მის ახლობელზეც გავრცელდეს.

**ვაკის საცურაო აუზი და ფიტნესკლუბი ამ ბაზარზე ლიდერია. ჩვენს პარტნიორადაც ლიდერი კომპანიები შევარჩიეთ, რომლებიც უყოყმანოდ დაგვთანხმდნენ სპონსორობაზე... ვაკის საცურაო აუზსა და ფიტნესკლუბში ვალენტინობა წელს პირველად აღინიშნა. ორგანიზებაში, რა თქმა უნდა, დაგვეხმარა ბაგები სითი ჯგუფი და მისი შვილობილი კომპანიები... ჩვენ ვგეგმავთ, რომ ვალენტინობის დღესთან დაკავშირებით მსგავსი ღონისძიებები ყოველწლიურად მოვაწყოთ,** - გვითხრა გიორგი ბოჭორიშვილმა.

# რეფერენდუმი ვენესუელაში

## ჩავესი ხელისუფლების სათავეში დარჩენას გეგმავს

ხათუნა ბაბიევი




ვენესუელაში რეფერენდუმი გაიმართა, რომლის შედეგებითაც უნდა გაირკვეს, სურს თუ არა მოსახლეობას გაუგრძელოს უგო ჩავესს ხელისუფლების სათავეში დარჩენის შესაძლებლობა ანუ ამიერიდან ექნება თუ არა პრეზიდენტობის მოსურნე პირს განუსაზღვრელი რაოდენობით კენჭისყრის უფლება. თუმცა, პლებისციტზე მხოლოდ საპრეზიდენტო კანდიდატის წარდგენის ლიმიტის საკითხი კი არა, გუბერნატორების, მერებისა და საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატების ზედიზედ განუსაზღვრელი რაოდენობით არჩევის საკითხიც წყდება.

თუკი მოსახლეობის უმრავლესობა შეთავაზებულ წინადადებას დათანხმდება და კონსტიტუციაში სათანადო ცვლილება შევა, ჩავესს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება 2012 წლის შემდეგაც ექნება.

თავად პრეზიდენტს რომ ჰკითხოთ, ამგვარი საკონსტიტუციო ცვლილების მიღება ქვეყნისთვის აუცილებელია თუნდაც ვენესუელის სოციალისტური რევოლუციის მომავალის სასარგებლოდ. თუმცა, საქმე არც ასე მარტივადაა და საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივას ბევრი კრიტიკოსიც გამოუჩნდა. მათი აზრით, ეს ინიციატივა არა მაღალი იდეალებით, არამედ, უბრალოდ, ერთი პრეზიდენტის ხელში ძალაუფლების მრავალი წლის მანძილზე კონცენტრირების სურვილით არის ნაკარნახევი.

საპრეზიდენტო ვადაზე ლიმიტის მოხსნა ვენესუელის საკონსტიტუციო ცვლილების 69-ე პაკეტშიც იყო გათვალისწინებული, რომელიც რეფერენდუმზე 2007 წელს ჩავარდა. ამის შემდეგ ჩავესმა ტაქტიკა შეცვალა და თითქმის ყოველდღე გამოდიოდა მრავალათასიან მიტინგზე მოწოდებით - ქვეყნის მოქალაქეებს აქტიურობა გამოეჩინათ შემდგომ რეფერენდუმზე. კომანდანტეს ამჯერად მომხრეთა 50 პროცენტის მხარდაჭერის იმედი აქვს.

მისი უფლებამოსილების ვადა ამჟამად 2012 წლამდე განისაზღვრება, ხოლო მისთვის სასარგებლო ცვლილების შემთხვევაში პრეზიდენტობის გაგრძელებას 2019 წლამდე შეძლებს. უგო ჩავესმა ხელისუფლების სათავეში ყოფნის 10 წლის იუბილე ახლახანს აღნიშნა.

პლებისციტამდე სამხრეთამერიკულ ქვეყანაში მწვავე პოლიტიკური ომი გაჩაღდა. ხელისუფლების მოქმედი მეთაურის მომხრეების განცხადებით, "ბოლივარიული რევოლუციისთვის" აუცილებელია ხელისუფლების სათავეში კომანდანტე ჩავესის ყოფნის უზრუნველყოფა, რასაც თავად პრეზიდენტიც იზიარებს.

**"ათი წელი არაფერია. არ მესმის, რაზე ჩივიან ოპოზიციის წარმომადგენლები. ორშაბათს უკვე იმაზე ვიფიქრებ, რა მოხდება 2013 წლის შემდეგ. ეს მე ჩემს მოქმედებებში რწმენას გამიმყარებს,"** - განაცხადა შაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე ვენესუელის პრეზიდენტმა.

ჩავესმა იმ სკანდალზეც ისაუბრა, რაც ქვეყნიდან ევროპარლამენტის ესპანელ დეპუტატ ლუის ერეროს გაძევებას ეხება. მისი თქმით, ეს ფაქტი არავითარ გავლენას არ მოახდენს ორი ქვეყნის ურთიერთობაზე. თუმცა, ერერო ვენესუელელ ოპოზიციონერებს რეფერენდუმზე დამკვირვებლის სტატუსით დასასწრებადაც ჰყავდათ მიწვეული. შერისხული უცხოელი დეპუტატის განცხადებით, დაუშვებელი იყო ორი საათით საარჩევნო უბნების მუშაობის გაგრძელება, რაც ვენესუელის ხელისუფლებამ გადაწყვიტა.

ადგილობრივი კანონმდებლობით აკრძალულია ეგზიტპოლებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ნაციონალური საარჩევნო საბჭოს პირველი ოფიციალური ბიულეტენის გამოქვეყნებამდე.

# პაკისტანი თალიბების წინააღმდეგ: ბრძოლა გადარჩენისთვის

მარიკა იაშვილი

**"თალიბების წინააღმდეგ ბრძოლა, ეს არის ბრძოლა გადარჩენისთვის,"** - აცხადებს პაკისტანის პრეზიდენტი ასიფ ალი ზარდარი.

ამერიკულ არხ "სი-ბი-ეს -ისთვის მიცემულ ინტერვიუში ზარდარიმ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ თალიბების მოძრაობა უკვე პაკისტანის თითქმის მთელ ტერიტორიაზეა გაშლილი. ინტერვიუში მან ხელისუფლების წარუმატებლობებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ მათმა მცდელობამ, გაეძლიერებინათ თავისი გავლენა და თალიბების წინააღმდეგ ბრძოლა უფრო ეფექტიანი გაეხადათ, ფიასკო განიცადა.

ინტერვიუში ზარდარი აშშ-ს მხრიდან პაკისტანში განხორციელებულ კიდევ ერთ საჰაერო თავდასხმასაც შეეხო. პაკისტანის ხელისუფლების მტკიცებით, სარაკეტო თავდასხმის შედეგად, სულ მცირე, 27 ბოევიკი დაიღუპა. რაკეტა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით, ავღანეთისა და პაკისტანის საზღვართან მდებარე სახლს დაეცა. თვითმხილველთა მტკიცებით, სარაკეტო თავდასხმის შედეგად დანგრეული შენობა სწორედ ის სახლი იყო, რომელსაც პაკისტანელი თალიბების ლიდერ ბაითული მესუდას თანაგუნდელები ხშირად სტუმრობდნენ.

მესუდა არაერთი დანაშაულის ორგანიზებაშია ეჭვმიტანილი. მას პაკისტანის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბენაზირ ბჰუტოს მკვლელობაც ედება ბრალად.

მიუხედავად ამისა, ოფიციალური ისლამაბადი მაინც უარყოფითად აფასებს სხვა ქვეყნის მიერ განხორციელებულ თავდასხმებს და აცხადებს, რომ მსგავსი ფაქტები ქვეყნის სუვერენიტეტში ჩარევაა. პაკისტანელი ლიდერები იმედს გამოთქვამენ, რომ აშშ-ს ახალი პრეზიდენტის ადმინისტრაცია ასეთ საჰაერო თავდასხმებს ბოლოს მოუღებს.

რამდენად რეალურია მათი ამ მოლოდინის გამართლება, ეს საკამათო საკითხია, რადგან ობამამ სწორედ მიმდინარე კვირას განაცხადა, რომ თალიბი ბოევიკები პაკისტანის ტერიტორიაზე თავს ძალზე თავისუფლად გრძნობენ და აშშ თავის მოკავშირეებს მათ მოგერიებაში აუცილებლად დაეხმარება.

თავის მხრივ, ზარდარი ამტკიცებს, რომ მისი მთავრობის მხრიდან თალიბების წინააღმდეგ ბრძოლას ამერიკის ინტერესებთან საერთო არაფერი აქვს და ის ამით აშშ-ს დავალებას არ ასრულებს.

**"ჩვენ არავის ვუწევთ რამე სახის სამსახურს. მშვენივრად გვესმის, რომ თალიბებს პაკისტანზე კონტროლის მოპოვება სურთ. ამიტომ ჩვენ ვიბრძვით პაკისტანის გადარჩენისთვის და არა რომელიმე სხვა ქვეყნის ინტერესებისთვის,"** - განაცხადა ზარდარმა "სი-ბი-ეს -ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

პაკისტანის პრეზიდენტის სიტყვებით, ბევრი ადამიანი არ მიიჩნევდა თალიბებს საკმარისი ძალისა და გავლენის მქონე მოძრაობად, რომელიც ვინმეს საფრთხეს შეუქმნიდა, თუმცა ახლა ნათელი გახდა, რომ ვინც ასე ფიქრობდა, სასტიკად ცდებოდა.

**"მაშინ, როდესაც თალიბების მოძრაობა სულ უფრო ძლიერდება, ჩვენი გავლენა არ იზრდება. ჩვენ ბევრი სისუსტე გვაქვს, რასაც თალიბები შესანიშნავად იყენებენ,"** - მიიჩნევს ზარდარი.

როგორც ასიფ ალი ზარდარი აცხადებს, რომელიც პრეზიდენტად მეუღლის - ბენაზირ ბჰუტოს მკვლელობის შემდეგ მალევე აირჩიეს, არ დაუშვებს, რომ თალიბებმა პაკისტანელების წინსვლას ხელი შეუშალონ.

თალიბების პრობლემის გადაჭრას არა მხოლოდ პაკისტანი ცდილობს, იგი ავღანეთისთვისაც დიდი თავსატეხია.

გასულ კვირას ჯერ პაკისტანს, ხოლო შემდეგ ავღანეთს რიჩარდ ჰოლბრუკი სტუმრობდა - რეგიონში ბარაკ ობამას ადმინისტრაციის ახალი საგანგებო ელჩი. პაკისტანში მომხდარი სარაკეტო თავდასხმა სწორედ ჰოლბრუკის ვიზიტს დაემთხვა.

ავღანეთში ობამას ელჩის სტუმრობამ პაკისტანთან შედარებით ბევრად უფრო მშვიდობიან გარემოში ჩაიარა. ჰოლბრუკმა ქაბულში რამდენიმე შეხვედრა გამართა, მათ შორის ქვეყნის პრეზიდენტთანაც.

შეხვედრის შემდეგ მხარეებმა ერთობლივი პრესკონფერენციაც გამართეს. რიჩარდ ჰოლბრუკის განცხადებით, ქაბულის შემდეგ შეხვედრები ვაშინგტონში გადაინაცვლებს.

ქაბულში გამართული შეხვედრის მთავარი თემა თალიბების წინააღმდეგ ბრძოლა იყო. მხარეებმა იმ ახალ წესებზეც ისაუბრეს, რომლებსაც საერთაშორისო შეიარაღებული ძალები ოპერაციების ჩატარების დროს დაიცავენ. ჰოლბრუკის განცხადებით, ახალი წესების შემუშავება მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად გახდა საჭირო.

პრესკონფერენციაზე სიტყვით ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ კარზაიც გამოვიდა. მისი თქმით, ავღანეთის ხელისუფლება მონაწილეობას მიიღებს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვაში, როგორიც ავღანეთთან ამერიკის პოლიტიკის გადახედვაა, და ამისთვის ის "ძალზე მადლიერია."

ჰამიდ კარზაი და რიჩარდ ჰოლბრუკი შეეცადნენ, გარკვეულიყვნენ იმ აზრთა სხვადასხვაობაში, რაც ზოგიერთ საკითხში არსებობს. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ამერიკის ახალი მთავრობის მხრიდან ავღანეთის მისამართით რამდენიმე საყვედური გაისმა, კონკრეტულად კი, ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ ავღანეთის მთავრობას მის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისადმი უმოქმედობა დასდო ბრალად. ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ კარზაისადმი თეთრ სახლში არსებული დადებითი განწყობა თანდათან უარყოფითისკენ იცვლება. თუმცა, მხარეები ვითარების გამოსწორებას ცდილობენ. როგორც ჰოლბრუკმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, თეთრ სახლში ყოველთვიურად ელიან თუნდაც ერთ მაღალჩინოსანს ავღანეთიდან, რომელიც, ამერიკის ადმინისტრაციის შესაბამის უწყებებთან ერთად, ავღანეთში არსებული პრობლემების მოგვარების ეფექტიანი გზების პოვნას შეეცდება.

### დაღესტანში ტერორისტებს ეძებენ

რუსეთის უსაფრთხოების ფედერალურმა სამსახურმა დაღესტანში, სერგოკალინსკის რაიონში კონტრტერორისტული ოპერაცია დაიწყო. ოპერაციის მიზანი "ბოევიკების" მოძიებაა, რომლებიც, ძალოვნების ინფორმაციით, თავს ამ რაიონს აფარებენ. უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის სამმართველოს ინფორმაციით, რაიონის ტერიტორიაზე ის "ბოევიკები" იმყოფებიან, რომლებიც დივერსიული თუ ტერორისტული აქტების ორგანიზებასა და მოწყობაში, ასევე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებზე თავდასხმაში არიან ეჭვმიტანილნი. სერგოკალინსკის ტყიან მასივში სპეცოპერაციის მიმდინარეობის გამო სპეციალური რეჟიმი და შეზღუდვები დაწესდა როგორც სერგოკალინსკის, ასევე მის მოსაზღვრე რაიონებში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### ბარაკ ობამა 787-მილიარდიან ანტიკრიზისულ გეგმას ხელს სამშაბათს მოაწერს

სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლებზე დაყრდნობით "სი-ენ-ენ"-ი ავრცელებს ინფორმაციას, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა აშშ-ს კონგრესის მიერ მიღებულ 787-მილიარდიან ანტიკრიზისულ გეგმას ხელს სამშაბათს, 17 თებერვალს დენვერში მოაწერეს. კონგრესის მიერ მიღებულ გეგმაში 212 მილიარდი აშშ დოლარი ბიზნესისა და ფიზიკური პირების საგადასახადო სუბსიდიებისთვის არის გათვალისწინებული, 267 მილიარდი - პირდაპირ საბიუჯეტო დაფინანსებისთვის, ხოლო 308 მილიარდი - საბიუჯეტო ასიგნებებისთვის, რომლებიც ინფრასტრუქტურის მოდერნიზებისთვის და სამეცნიერო მიზნებისთვის არის განკუთვნილი. ობამას გუნდის წევრი ანალიტიკოსები განმარტავენ, რომ დამტკიცებული გეგმის განხორციელების შედეგად უკვე 2010 წელს უმუშევართა რაოდენობა 7,3 პროცენტიდან 7 პროცენტამდე შემცირდება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### G7: ფინანსური ბაზრების სტაბილიზება ყველაზე პრიორიტეტულია

ფინანსური ბაზრებისა და ეკონომიკის სტაბილიზება ყველაზე პრიორიტეტული საკითხია, რის შესახებაც საუბარია დოკუმენტში, რომელიც დიდი შვიდიანის წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრებმა და ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელებმა რომში მიმდინარე შეხვედრაზე მიიღეს. შეხვედრაში რუსეთის ფინანსთა მინისტრი ალექსეი კუდრინიც მონაწილეობდა. დოკუმენტი შეიცავს წინადადებებს გლობალური ფინანსური სისტემისადმი ნდობის აღდგენისა და ბაზრების ნორმალური ფუნქციობისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს ზომები ფინანსური სისტემის რეფორმირებისთვის. ფინანსთა მინისტრები საერთაშორისო ინსტიტუტების, პირველ რიგში კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირების ინიციატივითაც გამოვიდნენ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### ირანის პერსპექტივა 2014 წლისთვის

"როიტერის" თანახმად, ირანი 2014 წელს შეიძლება ბუნებრივი თხევადი აირის წარმოების მიხედვით მსოფლიო ლიდერი გახდეს. აღნიშნული სახეობის საწვავის წარმოების ოდენობამ ამ ქვეყანაში წელიწადში შესაძლოა 77 მლნ ტონა შეადგინოს, რაც კატარის მაჩვენებელს ორჯერ აღემატება, რომელიც დღეისთვის პირველ ადგილზეა. ამჟამად ირანი ბუნებრივი თხევადი აირის ექსპორტს არ ეწევა. თუმცა ისეთმა ევროპულმა კომპანიებმა, როგორებცაა "შელი" და "რეპსოლი", ჯერ კიდევ 2002 წელს დადეს კონტრაქტები ირანულ ნავთობკომპანიასთან ირანში ბუნებრივი თხევადი აირის ტერმინალების მშენებლობის შესახებ. აღნიშნული კონტრაქტების რეალიზაცია აშშ-ს სანქციების გამო ჯერჯერობით შეჩერებულია. აბუ-დაბიში გამართული კონფერენციის ევროპელმა მონაწილეებმა მკაფიოდ აღნიშნეს ევროპისათვის ირანული გაზის უდიდესი მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი რუსეთიდან მიწოდების შეფერხების შემთხვევაში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### აბდულა ოჭალანის გათავისუფლების მოთხოვნით აქცია გაიმართა

ქალაქ ბათმანის თურქულმა პოლიციამ დემონსტრანტი ქურთები გაფანტა, რომლებიც ქურთისტანის მუშათა პარტიის ლიდერ აბდულა ოჯალანის გათავისუფლების მოთხოვნით შეიკრიბნენ. აქცია ოჯალანის დაკავებიდან ათი წლისთავს მიეძღვნა. ორი ათასი მომიტინგის წინააღმდეგ პოლიციამ ცრემლსადენი გაზი და საკვამლე ბურთულები გამოიყენა. თავის მხრივ, მიტინგზე გამოსულებმა პოლიციას ქვები და ჯოხები დაუშინეს. დაშავებულია 10 ადამიანი, დააკავეს 15 დემონსტრანტი.

**მედიანიუსი**

CMYK - 8

# აიცილეთ კურსის ცვალებადობის რისკი!




# გახსენით კონვერტირებადი ანაბარი ბანკ "რესპუბლიკაში"!

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

CMYK - 8

# თქვენი ანაბრის ვალუტის კურსი ეცემა?

კონვერტირებადი ანაბარი გაძლევთ საშუალებას, გადაიტანოთ თქვენი დანაზოგი სხვა ვალუტაში და თანაც შეინარჩუნოთ ანაბარზე დაგროვილი სარგებელი.

**თუ გახსნილი გაქვთ კონვერტირებადი ანაბარი ბანკ "რესპუბლიკაში":**

- ანაბარზე განთავსებულ თანხას გაანაღდებთ ნებისმიერი ვალუტით
- მიიღებთ მაღალ სარგებელს – 14%-მდე
- ხართ მსოფლიო საბანკო ჯგუფ "სოსიეტე ჟენერალის" პატივცემული მეანაბრე

## კონვერტირებადი ანაბრის გასახსნელად ეწვიეთ ჩვენს ნებისმიერ ფილიალს:

### თბილისის ფილიალების ქსელი

| | | |
|---|---|---|
| სათავო ოფისი | გრ. აბაშიძის ქ. 2 | 925555 |
| ცენტრალური ფილიალი | გრ. აბაშიძის ქ. 2 | 925555 |
| დელისის ფილიალი | ალ. ყაზბეგის გამზ. 47 | 312161 |
| სადგურის ფილიალი | რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია | 910600 |
| დიდუბის ფილიალი | წერეთლის გამზ. 10 | 345556 |
| პეკინის ფილიალი | პეკინის გამზ. 28 | 433355 |
| გლდანის ფილიალი | ხიზანიშვილის ქ. 20 | 590550 |
| ისნის ფილიალი | ნავთლუღის ქ. 6/2 | 243737 |
| ფალიაშვილის ფილიალი | ფალიაშვილის ქ. 33ა | 912237 |
| ჭავჭავაძის 24 საათიანი ფილიალი | ჭავჭავაძის გამზ. 13 | 925555 |
| აღმაშენებლის ფილიალი | აღმაშენებლის გამზ. 112 | 243585 |
| ვაჟა - ფშაველას ფილიალი | ვაჟა - ფშაველას გამზ. 71 | 244114 |
| დიღმის ფილიალი | დიღმის მასივი, I კვარტალი, I ბ კორპუსი | 518515 |
| სანზონის ფილიალი | გურამიშვილის გამზ. 34 | 653515 |
| ორთაჭალის ფილიალი | გორგასლის ქ. 37 | 723270 |

### რეგიონების ფილიალების ქსელი

| | | |
|---|---|---|
| ქუთაისის ფილიალი | გრიშაშვილის ქ. 6 | 8(231) 58888 |
| ბათუმის ფილიალი | ქუთაისის ქ. 6 | (888 222) 32810 |
| ბათუმის 24 საათიანი ფილიალი | გოგებაშვილის ქ.24 | (888 222) 759 26 |
| სამტრედიის ფილიალი | რაზმაძის ქ. 2 | 8 (211) 21353 |
| ზუგდიდის ფილიალი | ზვ. გამსახურდიას გამზ. 34 | 8 (215) 50008 |
| რუსთავის ფილიალი | მეგობრობის გამზ. 20 | 8 (24) 12 55 55 |
| ფოთის ფილიალი | აღმაშენებლის ქ. 50 | 8 (293) 7 00 87 |
| თელავის ფილიალი | მარჯანიშვილის ქ. 4 | 8 (250) 70040 |
| სიღნაღის ფილიალი | თამარ მეფის ქ. 1 | 8 (255) 31037 |
| ხესტაფონის ფილიალი | აღმაშენებლის ქ. 59 | 8 (292) 52512 |

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში: (8 22) 92 55 55

www.republic.ge

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

წიგნები სანტა ესპერანსადან

# ბილბო აბგელის თავგადასავალი

## ტოლკინის საკულტო ნაწარმოები ჰობიტი ქართულად გამოიცა

ია ვეკუა




ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის წიგნის თარო კიდევ ერთი საბავშვო წიგნით შეივსო. ამჯერად პატარა ქართველმა მკითხველმა XX საუკუნის ყველაზე ცნობილი მეზღაპრის, საკულტო მწერლის ჯონ რონალდ რუელ ტოლკინის საკულტო ნაწარმოები ჰობიტი მიიღო - ნაწარმოები, რომელსაც პირველივე ფრაზიდან შეუძლია ფენტეზის სამყაროში გადაგვიყვანოს და მისი პერსონაჟების თავგადასავლის მონაწილედ გვაქციოს.

ჰობიტი ტოლკინის ასევე საკულტო რომან-ტრილოგიის ბეჭდების მბრძანებლის წინა ისტორიაა, ხოლო მისი მთავარი პერსონაჟი ბილბო აბგელი (ბეგინსი) ფროდოს ბიძაა. როგორც გახსოვთ, ბილბოს ბეჭდების მბრძანებელშიც ვხვდებით, სადაც იგი უკვე ასაკოვანი მამაკაცია. ჰობიტის თარგმანის ავტორია ნიკა სამუშია, რომელიც შეეცადა, ქართული ტექსტი პატარა მკითხველისთვის რაც შეიძლება იოლად აღსაქმელი ყოფილიყო. მის თარგმანში კი ბილბო ბეგინსის გვარი ჟღერს, როგორც აბგელი (აბგა სიტყვიდან Bag). როგორც იცით, ტოლკინი ამ ნაწარმოებს წერს ისე, თითქოს მის მიერვე გამოგონილი ენიდან თარგმნის. ამრიგად ბილბოს გვარი ბეგინსიც ინგლისურადაა თარგმნილი. როგორც წესი ჰობიტის ან ბეჭდების მბრძანებლის სხვადასხვა ენაზე თარგმნისას ამ წესს იცავენ, ამიტომ მეც ასე ვთარგმნე , - ამბობს ნიკა სამუშია. ბილბოს გვარი ერთადერთი სიტყვა არაა, რომლის ამგვარად თარგმნაც საჭირო გახდა. ნაწარმოების პერსონაჟებს ძველი ანგლო-საქსური სახელები ჰქვიათ, რომლებიც თავად ტოლკიენს იმ სახით აქვს ადაპტირებული, რა სახითაც ისინი თანამედროვე დრომდე მოაღწევდა. საინტერესოა, რომ ნაწარმოებს ახლავს ტოლკიენის მიერ შექმნილი სახელების სხვა ენაზე თარგმნის ერგვარი ინსტრუქცია, რითაც ნიკა სამუშიაც ხელმძღვანელობდა. გარდა ამისა, ტოლკინი თავის ნაწარმოებებში არასდროს ახსენებს სიტყვას ღმერთი (God) და მას მის მიერვე გამოგონილი მინიშნებებით ანაცვლებს. თარგმნისას იმავეს გაკეთება მომიწია მეც. როდესაც საჭირო იყო ყოფილიყო ვთქვათ ო, ღმერთო , ვთარგმნიდი, როგორც მაღალო ზეცა და სხვა , - ამბობს მთარგმნელი.

წიგნის ყდის დიზაინი ცნობილ ილუსტრატორ ჯონ ჰოუის ეკუთვნის, რომელიც ასევე ბეჭდების მბრძანებლის სხვადასხვა ენოვანი გამოცემების მხატვრობის ავტორია. ასევე წიგნის შიდა ყდაზე განთავსებულია თავად ტოლკიენის მიერ შექმნილი ორი რუკა.

როგორც გითხარით, 1937 წელს გამოცემული ჰობიტი 20 წლის შემდეგ გამოსული ბეჭდების მბრძანებლის წინა ისტორიაა, ეს ზღაპრული ამბავი კი ბილბო აბგელისა და მისი მეგობრების უცნაურ თავგადასავალს მოგვითხრობს. ბილბო ჰობიტების ქვეყანა შაირში ცხოვრობს, რომლის საზღვრებიც არასდროს დაუტოვებია და თავისი მშვიდი ყოფით მეტად ბედნიერია. თუმცა ერთ დღეს მას უცნაური სტუმრები ეწვევიან - კეთილი ჯადოქარი გენდალფი და 13 ჯუჯა. ისინი ბილბოს მათთან ერთად დრაკონის მიერ გატაცებული განძის მოსაძებნად წაყოლაზე დაითანხმებენ, ჯილდოდ კი განძის ერთ მეთოთხმეტედ ნაწილს ჰპირდებიან.

განძის მაძიებლები დრაკონის მთისკენ მიემართებიან, რომლის გზასაც მათ ელფების ხელმწიფე, ელრონდი მიასწავლის. გზად მათ უამრავი საინტერესო და სახიფათო ისტორია გადახდებათ - ხან ტროლები ჩაიგდებენ ტყვედ, ხან ჯუჯების მტერი გობლინები. სწორედ მათგან თავის დაღწევისას ბილბო მიწისქვეშეთში აღმოჩნდება, სადაც ბეჭედს იპოვნის. ბეჭედს უკვე ჰყავს მფლობელი - უცნაური არსება სახელად გოლუმი, თუმცა საბოლოოდ ბეჭედი მაინც ბილბოს დარჩება.

საბოლოოდ ბილბო და ჯუჯები დრაკონის მთამდე მიაღწევენ და გამოქვაბულის შესასვლელსაც მიაგნებენ, ჯუჯები განძს იბრუნებენ, მაგრამ მასზე პრეტენზიას ახლა უკვე ადამიანები და ელფები აცხადებენ. დაპირისპირების მიუხედავად, ისინი მაინც გაერთიანდებიან, რადგან საერთო მტერი - გობლინების არმია მათ წინააღმდეგ ომს წამოიწყებს. გობლინები მარცხდებიან, ადამიანები, ჯუჯები და ელფები განძს იყოფენ, ბილბოს კი ბეჭედი, პერანგი და ხმალი რჩება. ეს სწორედ ის ნივთებია, რომლებიც ბეჭდების მბრძანებელშიც გვხვდება: ჯაჭვის პერანგი ფროდოს ნებისმიერი მახვილისგან იცავს, ხმალი გობლინების მოახლოვებისას ფერს იცვლის და მის მფლობელს მტრის შესახებ ატყობინებს, ბეჭედი კი... ეს უკვე ცალკე ისტორიაა.

# დათვები

## 59-ე "ბერლინალეზე" ფავორიტები დაასახელეს



რეჟისორი კლაუდია ლიოსა

ბერლინის 59-ე საერთაშორისო კინოფესტივალი დასრულდა, ჟიურიმ საუკეთესო ფილმები და მსახიობები გამოავლინა. წელს კინოფესტივალი სამხრეთ ამერიკული კინოს ტრიუმფით აღინიშნა, რადგან მთავარი ჯილდოები სწორედ ამ კონტინენტის ქვეყნების ფილმებმა მიიღეს. ოქროს დათვი პერუში გადაღებულმა ფილმმა სინანულის რძემ მიიღო, ხოლო ვერცხლის დათვი ურუგვაულ გიგანტს ერგო.

ამ გამარჯვების შემდეგ პერუში ალბათ საერთო სახალხო დღესასწაულს გამოაცხადებენ, რადგან ამ ქვეყნის კინოპროდუქცია ბერლინალეს საკონკურსო პროგრამაში პირველად მონაწილეობდა და ტრიუმფალურ გამარჯვებასაც მიაღწია. სინანულის რძე ძალიან სევდიანი დრამაა. მისი მთავარი გმირი ახალგაზრდა გოგონა ფაუსტაა, რომლის დედა წლების წინ ძალადობის მსხვერპლი გახდა. მართალია ეს საშინელი ფაქტი გოგონას დაბადებამდე მოხდა, მაგრამ მაინც აქვს გავლენა მის ცხოვრებაზე. ფილმში პარალელურად მე-20 საუკუნის პერუს ისტორიაც ვითარდება, როდესაც ქვეყნის მთავრობა ტერორისტულ ორგანიზაცია სენდერო ლუმინოსოს დაუპირისპირდა. ფილმის რეჟისორმა, კლაუდია ლიოსამ აღნიშნა: ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ასეთი მნიშვნელოვანი კინოფესტივალის მთავარ გმირად ვიქცეოდი. ბერლინალეზე მონაწილეობა ჩემთვის წარმოუდგენელი პატივი იყო, ახლა კი შემომხედეთ, ხელში ოქროს დათვი მიჭირავს. ეს ჯილდო მხოლოდ მე და ფილმის გადამღებ ჯგუფს კი არა, მთელ პერუს ეკუთვნის .

ვერცხლის დათვი საუკეთესო სცენარისთვის მიიღეს რეჟისორმა ორენ მოვერმანმა და ალესანდრო კამონმა ფილმისთვის კურიერი . მასში ვუდი ჰარელსონი ამერიკელ ოფიცერს თამაშობს, რომელსაც დაღუპული ჯარისკაცის ოჯახისთვის მისი დაღუპვის შესახებ ინფორმაციის მიტანა ევალება.

მამაკაცის მთავარი როლის შესრულებისთვის პრიზი მალელმა მსახიობმა სოტიგი კოიატემ დაიმსახურა რაშიდ ბუშარების დრამა მდინარე ლონდონში მონაწილეობისთვის. იგი ფილმში ფრანგ მუსლიმანს თამაშობს, რომელიც 2005 წელს ლონდონში მომხდარი ტერორისტული აქტების შემდეგ თავისი შვილისგან შეტყობინებას ელოდება. ამავე ნომინაციაში, თუმცა ქალის როლის შესრულებისთვის გაიმარჯვა ავსტრიელმა ბირგიტ მინიჰმაიერმა, რომელმაც ბერლინში ფილმი სხვა დანარჩენი წარმოადგინა. საუკეთესო რეჟისურისთვის ვერცხლის დათვი ერგო ირანელ აშგარ ფარდაჰის ფილმისთვის ელის შესახებ .

# ლონდონში შექსპირის კრძალავას აპირებენ

ინგლისელები რომ მეტად უცნაური და თავისებური ხალხია, ამაზე ალბათ არავინ დაობს, მაგრამ ხანდახან მათ უცნაურობასაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი. მაგალითად, ლონდონის საქალაქო პოლიციამ ცნობილ თეატრ გლობუსის ხელმძღვანელობა მხოლოდ იმ მოტივით დაიბარა, რომ აკრძალოს რომეო და ჯულიეტას დადგმის სკოლის მოსწავლეებისთვის ჩვენება, რადგან პიესა და შესაბამისად სპექტაკლიც ძალადობისა და სისასტიკის არა ერთ სცენას შეიცავს. ის რომ, შექსპირს ეს პიესა მოფარფატე პეპლებზე არ დაუწერია და მასში მართლაც არა ერთხელ იღვრება სისხლი, ყველამ ვიცით, მაგრამ უცნაური ისაა, რომ ლონდონის პოლიციამ ამაზე ყურადღება მხოლოდ ახლა - ნაწარმოების შექმნიდან 400 წლის შემდეგ გაამახვილა.

საქმე ისაა, რომ თეატრი გლობუსი ინგლისის 10 ათასამდე მოსწავლისთვის სპექტაკლის უფასოდ ჩვენებას და ამ გზით შექსპირის შემოქმედების პოპულარიზაციას გეგმავს. როგორც ბოლო წლების გამოკითხვამ უჩვენა, ბრიტანელი მოსწავლეების დიდ ნაწილს უილიამ შექსპირი ხან ცნობილი მომღერალი ჰგონია, ხანაც კოსმონავტი, ხოლო რომეო მათთვის მხოლოდ ლეონარდო დიკაპრიოს ერთ-ერთ კინოროლთან ასოცირდება. სწორედ ამ შემაშფოთებელი მონაცემების გამო გლობუსის დირექციამ გადაწყვიტა საგანმანათლებლო აქცია წამოეწყო და მოზარდებისთვის ყველაზე ნაცნობი პიესის დადგმა შეეთავაზებინა, შედეგად კი ასეთი რეაქცია მიიღო.

ლონდონის პოლიციას თავისი არგუმენტები აქვს. ქალაქის სამმართველოს უფროსის განცხადებით, დადგმა ძალადობის რამდენიმე შემთხვევას ასახავს, მათ შორის კი ორს გამოჰყოფს: მონტეკებისა და კაპულეტების ოჯახებს შორის არსებული მტრობა შესაძლოა მოზარდების გარკვეულ დაჯგუფებებს შორის დაპირისპირების მაპროვოცირებლად იქცეს, ეს პრობლემა კი ინგლისში დიდი ხანია დგას. გარდა ამისა, პოლიცია შიშობს, რომ რომეოსა და ჯულიეტას თვითმკვლელობამ უიღბლო სიყვარულის მოტივით მოზარდებში თვითმკვლელობათა რაოდენობას გაზრდის.

გლობუსსა და პოლიციას შორის არსებულ უთანხმოებას საზოგადოებაში უკვე მოჰყვა დიდი რეზონანსი. გაიმართა არა ერთი საპროტესტო აქცია და სატელევიზიო დებატები. ზოგი გაზეთი პოლიციას უვიცობაში ადანაშაულებს, ხოლო რადიკალურად განწყობილი რელიგიური დაჯგუფებები სპექტაკლების მოხსნას ითხოვენ. გლობუსის მთავარმა რეჟისორმა ბილ ბაკჰეტმა კი პოლიციის მაღალჩინოსნები თეატრში მიიწვია და სცადა პოპულარული ენით აეხსნა, რომ სპექტაკლი ხელოვნების ნიმუშია და ამიტომ მისი ნახვა ბავშვებს მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება.

როგორც გითხარით, მოზარდებს შორის ძალადობა და ჯგუფური დაპირისპირება, ბრიტანეთში საკმაოდ მძიმე პრობლემაა. პოლიცია მრავალი წელია ატარებს საგანმანათლებლო და პრაქტიკულ სამუშაოებს, რათა ბავშვებმა სულ მცირე დანის ტარება მაინც შეწყვიტონ. სტატისტიკური მონაცემებით ლონდონში დანის გამოყენებით ყოველ 50 წუთში ერთი დანაშაული ხდება. ბაკჰეტის არგუმენტი სწორედ ამას ემყარება და პოლიციას არწმუნებს, რომ სპექტაკლი შესაძლოა ერთგვარ ანტიძალადობრივ პროპაგანდადაც გამოიყენონ. როდესაც მოზარდი ნახავს, რომ ძალადობას კარგი შედეგი არ მოჰყვება, იქნებ თავადაც მიხვდეს, რომ არასწორად ცხოვრობს , - აღნიშნა რეჟისორმა.

# შუმერების დაბრუნება

## ერაყის მთავარი მუზეუმი კვლავ გაიხსნება

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, მნიშვნელოვანი და ბედუკუღმართი არქეოლოგიური კოლექცია ერაყის ბაღდადის ნაციონალურ მუზეუმს ეკუთვნის, რომელიც თებერვლის ბოლოდან დამთვალიერებელს კვლავაც უმასპინძლებს.

ბაღდადის მუზეუმი 1923 წელს დაარსდა ინგლისელი მწერალი ქალის, არქეოლოგის და მაძიებელის - ჰერტრუდა ბელის ინიციატივითა და თანამონაწილეობით.

1926 წელს კოლექცია, რომელიც თავდაპირველად მეფე ფეისალ პირველის სასახლეში იყო განთავსებული, ცალკე ნაგებობაში გადაიტანეს და აი, ასე შეიქმნა ერაყის მუზეუმი. მაგრამ უკვე იმ დროისათვის აღარ ეტეოდა ალ-მამუნის ქუჩაზე მდებარე მოკრძალებულ მუზეუმში შუამდინარეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ათასობით მონაპოვარი... მუზეუმს ახალი და ფართო ნაგეგობა მხოლოდ 1966 წელს დაუთმეს და მის 28 დარბაზში ყველა ის მთავარი და მნიშვნელოვანი ექსპონატი განათავსეს, რომლებსაც

გასული საუკუნის 80-იან წლებში არაერთი უნიკალური ოქროს ნივთი შეემატა ნიმროდას საუნჯიდან" - ის ხომ XX საუკუნის ერთ-ერთი უმდიდრესი არქეოლოგიური მონაპოვარია.

1990-იან წლებში, ქუვეითში ერაყის შეჭრიდან ათი დღის თავზე, სადამ ჰუსეინმა მართლაც წინდახედული ნაბიჯი გადადგა და ნიმროდას ოქრო ნაციონალური ბანკის სეიფში გამოკეტა". ამ მომენტიდან ნაციონალური მუზეუმის კოლექციის მდგომარეობა დამკვირვებელთათვის ნამდვილ გამოცანად იქცა.

მუზეუმი მთელი ცხრა წლით 1991 წლის გაზაფხულიდან დაიხურა, გაცხარებული ოპერაციისას, სახელწოდებით - უდაბნოს ქარბუქი". სადამ ჰუსეინმა ნაციონალური კოლექციის გახსნის ბრძანება მხოლოდ 2000 წლის 28 აპრილს გასცა, მისი 63-ე დაბადების დღის აღსანიშნავად. თუმცა, მაშინ ნიმროდას საგანძური დამთვალიერებლებს არ უნახავს. ამ საუნჯის შესახებ 2003 წლის ივნისამდე არაფერი იყო ცნობილი. იმ დროისათვის ბაღდადი ანტიერაყულ კოალიციას ჩაბარდა, სადამ ჰუსეინის რეჟიმი კი, დაეცა.

ერაყის მუზეუმებისა და არქეოლოგიური ნივთების მდგომარეობას მეცნიერები 1980 წლიდან, ირანთან ომის დასაწყისიდან აკვირდებოდნენ. ორი ქვეყნის საომარმა მოქმედებებმა ათასობით ძეგლი დააზარალა, მაგრამ ყველაფერი ეს საბავშო თამაშს უფრო ჰგავდა იმასთან შედარებით, რაც მოგვიანებით მოკავშირეთა ავიადარტყმებს მოჰყვა სპარსეთის ყურეში. მაშინ მსოფლიო საზოგადოებრიობამ ხმა აიმაღლა და კოალიციის ხელმძღვანელებს ათასწლოვანი ქალაქის დანდობისკენ მოუწოდებდა. მათი თხოვნები ნაწილობრივ გაითვალისწინეს კიდეც, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ბაღდადის მუზეუმი გადარჩა.



ის 2003 წელს ერაყში საომარი მოქმედებებისას კოალიციის ჯარებმა მუზეუმი არ დაბომბეს. თუმცა, მოხდა უარესი. კერძოდ, 8-12 აპრილს, როდესაც ბაღდადის ქაუჩებში ჯერ კიდევ იბრძოდნენ, თანამშრომლებმა მუზეუმი მიატოვეს, რადგანაც ერაყის ქვედანაყოფი ამერიკელებს მიზანში ჰქონდათ ამოღებული და მას პირდაპირ მუზეუმის ეზოდან ესროდნენ. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მოროდიორებმა მუზეუმი, დაახლოებით, 48 საათის განმავლობაში გაძარცვეს. დანაკარგის შეფასებას თვეები დასჭირდა.

თავდაპირველად მსოფლიო პრესის ფურცლებიდან იტყობინებოდნენ, რომ მუზეუმის 500 ათასი ექსპონატიდან 170 ათასი დაკარგული იყო. მოგვიანებით ეს ციფრი ათჯერ შემცირდა, ახლა კი თვლიან რომ დაახლოებით 15 ათასი ექსპონატია დაკარგული. თუმცა, მათ რიცხვში ისეთი ნივთები აღმოჩნდა, რომელთაგან მესოპოტამიის ხელოვნების ექსპერტებს, ალბათ, ხელები აუკანკალდებოდათ. გაქრა" ქალღმერთ ინანის ალებასტრის მეტრიანი ჭურჭელი (3200 წელი ძველი წელთაღრიცხვის), კირქვისგან გამოქანდაკებული ნიღაბი, რომელიც შუმერული მონა ლიზას" სახელწოდებით არის ცნობილი (3100 წელი ძველი წელთაღრიცხვით), არფის დამამშვენებელი ოქროს ხარის თავი (2600-2500 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე), დამჯდარი მამაკაცის ქანდაკების ფრაგმენტი (2300 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე) და ხვა ექსპონატები, რომელთა ფოტოებიც ხელოვნების ისტორიის სახელმძღვანელოებს ამშვენებს მთელს მსოფლიოში. ჟაკ შირაკმა, რომელიც იმ დროს საფრანგეთის პრეზიდენტი იყო, მომხდარს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული უწოდა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ცნობილი ხარის თავი" ლეონარდო ვულიმ ისტორიულ ქალაქ ურში აღმოაჩინა. ეს მონაპოვარი მსოფლიო სენსაციად იქცა. 1930 წელს, აგატა კრისტი ურში სპეციალურად მის სანახავად ჩავიდა, სადაც თავისი მეორე ქმარი, სახელგანთქმული არქეოლოგი - მაქს მალოუენი გაიცნო.

2003 წლის 16 აპრილიდან ბაღდადის მუზეუმის ბედი საზღვაო ქვეითი ჯარის სათადარიგო კორპუსის პოლკოვნიკ მეთიუ ბოგდანოსს ებარა, რომელმაც მომხდართან დაკავშირებით მასშტაბური გამოძიება აწარმოა. მისმა საოცრად ეფექტურმა ჯგუფმა არამარტო მომხდარის რეალური მასშტაბი დაადგინა, არამედ არსებული ინფორმაცია გასაგებ ენაზე მიაწოდა იუნესკოს, ევროპისა და აშშ-ს მუზეუმების წარმომადგენლებს, კოალიციის ხელმძღვანელებს, ახლო აღმოსავლეთის საბაჟო სამსახურს და ადგილობრივ მოსახლეობას.

პოლკოვნიკ ბოგდანოსის ხალხმა დაარწმუნა ბაღდადელები იმაში, რომ სამუზეუმო ფასეულობების დაბრუნების შემთხვევაში მათ არაფერი ემუქრებოდათ. მოროდიორების ამინისტიის შესახებ გავრცელებულმა შეტყობინებამ განსაკუთრებული როლი ითამაშა: უკვე 12 ივნისს პოლკოვნიკს გადასცეს დანაწევრებული ლარნაკი ურიდან, რომელიც, როგორც გამოირკვა, მხოლოდ იმ ადგილებში დაიბზარა, სადაც ცუდად იყო რესტავრირებული. 2003 წლის დეკემბრამდე, მუზეუმს, დაახლოებით, 2 000 ექსპონატი გადასცეს, რომელთა შორის აღმოჩნდა არაერთი საინტერესო ქანდაკება.

პოლკოვნიკმა თავისი დიპლომატიით გამოავლინა თუ სად გაქრა ერაყში შეჭრის შემდეგ ხელნაწერები, რომლებიც მუზეუმის ბიბლიოთეკაში ინახებოდა - ბაღდადის სხვა რაიონის ბომბთსაცავში, მან დაარწმუნა მცველები მისთვის მუზეუმის საიდუმლო თავშესაფარი ეჩვენებინათ, მიაკვლია ოქროს ნიმროდას ბანკში გადატანის თვილმხილველებს და ბოლოს, ნახა ოქრო, რომელმაც სეიფში ორი ომი გადაიტანა". შედეგად, ბოგდანოსის ჯგუფის სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ექსპონატების უმეტესი რაოდენობა, დაახლოებით 5-6 ათასი ნივთი, გაპარტახებულ ბუდეს დაუბრუნდა.



მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, სხვადასხვა სამსახურების ჩარევის გზით დაბრუნებულ ნივთებს შორის აღმოჩნდა: განსაკუთრებით ფასეული ენტემენის, შუმერული ქალაქ ლაგაშის მმართველის ქანდაკება. ნივთები აღმოაჩინეს ევროპაში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, იაპონიასა და პერუშიც კი. აღმოაჩინეს: კერამიკული ჭურჭელი, საიუველირო ნაწარმი, ასობით ცილინდრული ბეჭედი, ნაციონალურ მუზეუმში დაცული უმდიდრესი კოლექციიდან.

ახლა ერაყის მუზეუმის დირექცია ყველაზე მეტად მხოლოდ ერთი შენობისა და კოლექციის უსაფრთხოებაზე დარდობს. იმაში, რომ შუმერების, აქადელებისა და ასურელების საგანძურის სანახავად მუზეუმს ხალხის დიდი ნაკადი მიაწყდება, ეჭვი აღარავის ეპარება.



ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი ˝24 საათი˝ წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.



## "უნდო კლდე" და "ბონდის მღვიმე"

საქართველოს ეროვნული მუზეუმი ინტენსიურ არქეოლოგიურ კვლევებს აწარმოებს იმერეთის რაიონში. რიონ-ყვირილას აუზის ძველი ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია 1995 წლიდან მოყოლებული აქტიურად თანამშრომლობს ჰარვარდთან, იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტებთან, ტარაგონას უნივერსიტეტთან და სხვა ცნობილ სამეცნიერო ინსტიტუტებთან. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ექსპედიცია ჭიათურის რაიონში ფრანგ კოლეგებთან ერთად, კერძოდ კი პარიზის ადამიანის პალეონტოლოგიის ინსტიტუტთან ერთად საველე სამუშაოებს აწარმოებს.

2006-2007 წლებში ექსპედიციამ პირველყოფილ ადამიანთა რამდენიმე ახალი მღვიმური სადგომი აღმოაჩინა. მათგან, ამ ეტაპზე, ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლებს "უნდო კლდე" და "ბონდის მღვიმე" წარმოადგენენ.

"უნდო კლდე" ჭიათურის რაიონის, სოფელ ვაჭევის ტერიტორიაზე, ვარხმელის ხეობაში მდებარეობს. მღვიმის ჰორიზონტალური, 80 მეტრის სიღრმის დერეფანი ბოლოში საკმაოდ ვიწროვდება. იქვე მდებარეობს 47 მეტრის სიღრმის ვერტიკალური კარსტული ჭა, რომლის დიამეტრიც მიწის ზედაპირზე 7 მეტრია, ხოლო ფსკერზე 3 მეტრი.

საძიებო გათხრის შედეგად მღვიმის შესასვლელში შუა (300000-40000 წწ) და ზედა პალეოლითური ფენები (40000-12000 წწ) დადგინდა. აღსანიშნავია, რომ შუა პალეოლითური ფენაში კაჟის ქვის მასალის შემადგენლობაში ჭარბობს სამონადირეო დანიშნულების იარაღები-წაგრძელებული წვეტანები. აქვე მდიდარი პალეონტოლოგიური მასალაც აღმოჩნდა: მღვიმური დათვის, მგლის, ირმისა და სხვა ცხოველთა ნაშთები. ამას გარდა, მეტად მნიშვნელოვანია ნეანდეტალელი ადამიანის კბილის აღმოჩენის ფაქტიც.

რაც შეეხება მღვიმის ბოლოს არსებულ უფსკრულს, 200620-07 წლებში სპელეოლოგებისა და საჩხერის სამთო ბატალიონის ჯარისკაცების დახმარებით ამოღებულ იქნა მასალის გარკვეული რაოდენობა. ჭა სავსეა ფაუნისტური და ანთროპოლოგიური მასალით. აქ აღმოჩნდა მღვიმური დათვის, მგლის, ირმის, შველის, თხუნელის, ფრინველისა და ადამიანის 2 ინდივიდის რამდენიმე ასეული ძვალი. ნიმუშები გადაცემულია დასათარიღებლად. საერთო იერით მასალა გვიანდელია, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ კარსტული ჭის ამოწმენდის შემდეგ გამოჩნდება უფრო ადრეული, განამარხებული მასალაც. მეცნიერებს მიგვაჩნია, რომ ეს მღვიმე თავის დროზე სარიტუალო ძეგლს წარმოადგენდა.

მეორე ძეგლი, "ბონდის მღვიმე" ჭიათურის რაიონის სოფელ წირქვალის ტერიტორიაზე მდებარეობს. ის, ზედა პალეოლითელი, უკვე თანამედროვე ადამიანის სადგომია. ეს ფაქტი დაადასტურა როგორც არქეოლოგიურმა მასალამ, ასევე, იმ პერიოდის ადამიანის კბილის აღმოჩენამაც.

ძეგლი მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სხვადასხვა მიზეზების გამო. ყველაზე მეტად აღსანიშნავია ის, რომ ფაქტობრივი მასალით დადასტურდა მეცნიერთა ვარაუდი ზედა პალეოლითში (40000-12000) სელის, ქსოვილისა და მისი ღებვის არსებობის შესახებ. ძეგლის შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ტერიტორია, სხვა, მიმდებარე რეგიონებთან ერთად სელის წინარე სამშობლოს წარმოადგენდა... ხოლო აქ მოსახლე ზედა პალეოლითური საზოგადოება საკმაოდ დაწინაურებული იყო და განვითარების მაღალ დონეზე იდგა.

იმედი გვაქვს, რომ მომავალი კვლევები მეტ სიცხადეს შეიტანს როგორც ამ კონკრეტული ძეგლების, ისე, ზოგადად, ძველი ქვის ხანის ძეგლების კვლევის საქმეში.

*ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი*
*საქართველოს ეროვნული მუზეუმი*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს დეპარტამენტის ბალანსზე არსებული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურეობის (სერვისი) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

ტენდერში მონაწილეობის მსურველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში, ხოლო დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, შემოსულობის კოდი: 302006600, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, **მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სატენდერო მოსაკრებელი** და (2009 წლის 16 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით) წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ვ. ფშაველას გამზირი №72, ოთახი 244, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

1. შესყიდვის ობიექტი:

| ლოტი | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | მომსახურების ადგილი | შესასრულებელი სამუშაოს ვადები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მერსედესი (124, სპრინტერი, მლ-1 , C კლასი) | ცალი | 16 | ქ.თბილისი | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე |
| 2 | ბმვ ( 520-525, X5) | ცალი | 7 | | |
| 3 | ფოლცვაგენი (გოლფი, პასატი ჯეტა) | ცალი | 10 | | |
| 4 | ოპელ ვექტრა | ცალი | 40 | | |
| 5 | ჰუნდაი ტუქსონი | ცალი | 3 | | |
| 6 | ნისანი (პადფაინდერი, სანი, Xტრალი, ტიდა, ნავარა) | ცალი | 6 | | |
| 7 | მიცუბიში ლანსერი | ცალი | 1 | | |
| 8 | ტოიოტა (კოროლა კამრი პრადო ჰაილუქსი) | ცალი | 20 | | |
| 9 | ფორდი (ტრანზიტი) | ცალი | 2 | | |
| 10 | შკოდა (ოქტავია, რომსტერი) | ცალი | 7 | | |
| 11 | ჯიპი გრანჩეროკი, | ცალი | 1 | | |
| 12 | კია (სპორტეჯი, პრაიდი) | ცალი | 2 | | |
| 13 | სუბარუ ლეგასი | ცალი | 1 | | |
| 14 | ლენდ როვერი | ცალი | 1 | | |
| 15 | ნივა ვაზ–21213 21214 | ცალი | 10 | | |
| 16 | შევროლე ლანსეტი | ცალი | 1 | | |
| 17 | ჟიგული (ვაზ-2107) | ცალი | 7 | | |
| 18 | გაზელი | ცალი | 1 | | |
| 19 | ვოლვო 940 | ცალი | 1 | | |
| 20 | გაზ 66 | ცალი | 2 | | |
| 21 | უაზი | ცალი | 3 | | |
| 22 | ზილი 157 | ცალი | 4 | | |
| 23 | ტოიოტა კოროლა | ცალი | 1 | ქ.ბათუმი | |
| | ტოიოტა ჰაილუქსი | ცალი | 1 | | |
| | შკოდა ოქტავია | ცალი | 4 | | |
| | ჰუნდაი ტუქსონი | ცალი | 1 | | |
| | ოპელ ვექტრა | ცალი | 2 | | |
| | ფორდ ტრანზიტი | ცალი | 1 | | |
| | ჟიგული ( ვაზ-2106, ) | ცალი | 6 | | |
| | ვოლვო 940 | ცალი | 1 | | |
| | უაზი 31512 | ცალი | 1 | | |
| | BMW 520 | ცალი | 1 | | |
| | მერსედესი 124 | ცალი | 1 | | |
| 24 | ჰუნდაი ტუქსონი | ცალი | 1 | ქ.ქუთაისი | |
| | ჟიგული (2107, 2106) | ცალი | 6 | | |
| | ოპელ ვექტრა | ცალი | 1 | | |
| | ნივა ვაზ–21214 | ცალი | 3 | | |
| | ტოიოტა ჰაილუქსი | ცალი | 1 | | |
| | მერსედესი 124 | ცალი | 1 | | |
| 25 | ჰუნდაი ტუქსონი | ცალი | 1 | ქ.ზუგდიდი | |
| | შევროლე ლანსეტი | ცალი | 1 | | |
| | ჟიგული (2107, 2106) | ცალი | 4 | | |
| | ოპელ ვექტრა | ცალი | 3 | | |
| | ნივა ვაზ–21214 | ცალი | 3 | | |
| | უაზი 31029 | ცალი | 1 | | |
| | ფორდ სიერა | ცალი | 1 | | |
| | BMW (320, 525) | ცალი | 2 | | |
| | შკოდა ოქტავია | ცალი | 1 | | |
| 26 | ტოიოტა ჰაილუქსი | ცალი | 2 | ქ.ახალციხე | |
| | შკოდა ოქტავია | ცალი | 1 | | |
| | ჰუნდაი ტუქსონი | ცალი | 1 | | |
| | ნივა (2121) | ცალი | 8 | | |
| | მერსედესი 124 | ცალი | 1 | | |
| | ოპელ ვექტრა | ცალი | 1 | | |
| 27 | შევროლე ლანსეტი | ცალი | 1 | ქ.თელავი | |
| | მერსედესი 124 | ცალი | 1 | | |
| | ნივა (2121) | ცალი | 4 | | |
| | ოპელ ვექტრა | ცალი | 1 | | |
| 28 | ტოიოტა ჰაილუქსი | ცალი | 1 | ქ.მარნეული | |
| | ჰუნდაი ტუქსონი | ცალი | 1 | | |
| | მერსედესი 124 | ცალი | 2 | | |
| | ნივა (2121) | ცალი | 5 | | |
| | BMW | ცალი | 1 | | |
| | ოპელ ვექტრა | ცალი | 2 | | |
| | შკოდა ოქტავია | ცალი | 1 | | |
| 29 | ტოიოტა ჰაილუქსი | ცალი | 2 | ქ.გორი | |
| | შკოდა ოქტავია | ცალი | 1 | | |
| | ჰუნდაი ტუქსონი | ცალი | 1 | | |
| | ტოიოტა ლექსუსი | ცალი | 1 | | |
| | ტოიოტა რანერი | ცალი | 1 | | |
| | ნივა ვაზ–21213 | ცალი | 21 | | |
| | ოპელ ვექტრა | ცალი | 1 | | |
| | ფოლცვაგენ პასატი | ცალი | 1 | | |

2. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

3. მომსახურების ადგილი ქ. თბილისი, ქ.ბათუმი, ქ.ქუთაისი, ქ.ზუგდიდი, ქ.ახალციხე, ქ.თელავი, ქ.მარნეული და ქ.გორი.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 9 მარტს, 12.00 საათიდან 13.00 სათამდე მისამართზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო – ქ. თბილისი, ვ. ფშაველას გამზირი №72, ოთახი 244.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შესაბამისი უწყებიდან, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარისწორების შესახებ.

6. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

9. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.

10. გამოყენებულ იქნება სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი. სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით და ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: დავით ოთარაშვილი 877 57-25-52, 41-22-89; კობა მრელაშვილი 877-59-57-66.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა !**
**თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან ! ! !**

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს" მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ელესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;**

**პაციენტების საყურადღებოდ !**

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ **ულტრასონოგრაფიის** (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს **ექოსკოპიურ** ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება **ექოსკოპიური** გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ელესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42;**

# სპორტი

## ტიმ ლეინი: "მომავალშიც ლელოებზე ვიქნებით ორიენტირებულნი"

კახა ფაჩუაშვილი

ტიმ ლეინი ცდილობს საქართველოს ნაკრებს შემტევი რაგბი ათამაშოს და ასე გავიდეს ფონს. გუნდი ლელოებზე ჰყავდეს ორიენტირებული და არა საჯარიმოების შესრულებაზე. ასეთ რაგბის მსოფლიოს დიდი გუნდები თამაშობენ და ამიტომაც არიან დიდი გუნდები.

მწვრთნელის მიდგომა ამ შემთხვევაში მართებულია. საბოლოო მიზანი ხომ ისეთი გუნდის შექმნაა, რომელიც ტოლს არ დაუდებს ელიტის ბინადრებს და გამარჯვებისთვის იბრძოლებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს უაღრესად მტკივნეული პროცესია, რომელსაც ხშირად წარუმატებლობა ახლავს თან.

მაგალითისთვის პორტუგალიასთან მატჩიც გამოგვადგება. ქართველ მორაგბეებს შეეძლოთ პირველ ნახევარში მარტივად ეთამაშათ, რამდენჯერმე ჯარიმით მოეპოვებინათ ქულები და საბოლოო ჯამში მოეგოთ ის თამაში, მაგრამ ლეინის დარიგება იყო გუნდს მხოლოდ ლელოებზე ეთამაშა და საბოლოოდ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ - გადავრჩით მწარე მარცხს.

ახლა ნათელია, რომ მსოფლიო თასის საგზურისთვის უმძიმესი ბრძოლები მოგვიწევს. წელს ესპანეთსა და რუსეთში ჩავდივართ, მომავალ წელს კი - პორტუგალიასა და რუმინეთში. სწორედ ამ ვოიაჟებში გაირკვევა, შეძლებს თუ არა საქართველოს ნაკრები მსოფლიო თასის საგზურის მოპოვებას. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ შედეგზე დაგვჭირდეს თამაში და როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში "ბორჯღალოსანთა" მთავარი მწვრთნელი, ეს არის საინტერესო.

მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ ბატონი ლეინის მიდგომა სწორია, მაგრამ თუ მის ტაქტიკას ტესტმატჩებში გამოვცდით, ალბათ უკეთესი იქნება, რადგან მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში ექსპერიმენტების ჩატარება მეტად სარისკოა და შეიძლება გუნდს ძალიან ძვირად დაუჯდეს.

როცა ტიმ ლეინი ჩვენი ქვეყნის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ინიშნებოდა, მან განაცხადა, რომ საქართველოს ნაკრების მთავარი ღირსება მისი შერკინებაა და არ აპირებს რაიმეს შეცვლას. ქართველები მომავალშიც შერკინებით გავლენ ფონსო. პორტუგალიასთან მატჩის შემდეგ მწვრთნელმა აღნიშნა, რომ ჩვენი შერკინება თავისი ფიზიკური პოტენციალით ახალი ზელანდიისას არ ჩამოუვარდებოდაო, მაგრამ ფაქტია, პორტუგალიას შერკინებით ვერ ვაჯობეთ და შედეგად ფრეს ძლივს გამოვრჩით.

რაგბის ახალი წესების თანახმად, შერკინების ჩაშლა ცოდვად აღარ ითვლება და ამისთვის არავის აჯარიმებენ. პორტუგალია კი ყოველთვის ცნობილი იყო იმით, რომ შერკინებას შლიდა და ასე ახერხებდა მეტოქის იერიშების შეჩერებას. შაბათსაც პორტუგალიელი მორკინალები ჩამოკიდებულნი იყვნენ ჩვენს მორაგბეებზე, თვითონაც ეცემოდნენ და მეტოქესაც მინდორზე აგდებდნენ და ასე ახერხებდნენ ჩვენი მოლის შეჩერებას. რაკი მიძალებით ვერაფერს გავხდით, ლელოების გატანაც ამიტომ გაგვიჭირდა. პორტუგალიელთა სხარტმა სამმეოთხედელებმა კი ჩვენი გუნდის ორი შეცდომით ისარგებლეს და ორი ლელო გაგვიტანეს. ასე აღმოვჩნდით მდევრის როლში თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში.



გოგიტა ბახაიძის ფოტო

*ბორჯღალოსანთა მრავალი მცდელობა გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.*

თუ სხვა გუნდებიც, პორტუგალიელთა მსგავსად, შერკინების ჩაშლას მოინდომებენ, ლელოს გატანა ყოველთვის გაგვიჭირდება. ამიტომ ტიმ ლეინსა და მის გუნდს მომავალ შეხვედრებში ახალი ფორმულის მოძებნა მოუწევს, რომ როგორმე IRB-ის ახალ წესებს ალღო ავუღოთ და სასურველ შედეგებს მივაღწიოთ. საქართველოს ნაკრები 28 თებერვალს ესპანეთს გაეჯიბრება..

**ტიმ ლეინი (საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** "შესანიშნავ გუნდს ვეთამაშეთ. პირველი 20 წუთის განმავლობაში თამაში მიგვყავდა, მაყურებელს შესანიშნავი რაგბი ვაჩვენეთ. ძალიან კარგად თამაშობდა შერკინება და დერეფანი, მაგრამ პორტუგალიის ნაკრები კედელივით იდგა. ეს მათთვის ჩემგან ერთგვარი კომპლიმენტია. ჩვენი გუნდი ალაგ-ალაგ ვერ იყო კონცენტრირებული. ზოგი გადაწყვეტილება არ იყო სწორი. მაგრამ ბიჭები თავდაჯერებულები იყვნენ, სჯეროდათ ერთმანეთის და თამაშობდნენ ისე, როგორც საჭირო იყო. მათ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ თამაში ასე რომ დასრულდა, ისევ და ისევ პორტუგალიის ნაკრების დამსახურებაა. ვცდილობთ ვითამაშოთ შემტევი რაგბი, გავიტანოთ ბურთი დერეფანში, მერე ვებრძოლოთ მეტოქეს და დავაგვირგვინოთ ლელოთი. რა თქმა უნდა, ჯარიმებიდან ქულების მოპოვება შესაძლებელია, მაგრამ გვინდა სხვაგვარად ვითამაშოთ. პორტუგალიასაც ჰქონდა შესაძლებლობა ჯარიმებით დაეგროვებინა ქულები, მაგრამ სამი თუ ოთხი ჯარიმა ვერ დაარტყეს კარგად. პორტუგალიაც სხვაგვარად თამაშობდა. არც ეს გუნდი იყო ორიენტირებული ჯარიმებიდან მოგროვილი ქულებით გასულიყო ფონს. ვფიქრობ, სწორია გადაწყვეტილება, რომ ასეთი რაგბი ვითამაშოთ. მივიღეთ ის, რასაც ვიმსახურებდით. შეიძლება გაგვიმართლა კიდეც, თამაში ფრედ რომ დასრულდა. ჩემი აზრით, შედეგი შთამბეჭდავი იყო თამაშის ხარისხის თვალსაზრისით. ჩემთვის მთავარია, რომ კარგი რაგბი ვითამაშეთ. ეს არის მთავარი. მომავალ თამაშებშიც ლელოებზე ვიქნებით ორიენტირებულნი".

**ტომაშ მორაეში (პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** "ამაღელვებელი მატჩი იყო. საქართველო უძლიერესი ნაკრებია ევროპის "ერთა თასზე", ამიტომ ყოველთვის ვღელავთ ხოლმე, როცა თბილისში გასვლითი მატჩი გვაქვს. საქართველოში გასვლითი მატჩი არა მარტო ჩვენთვის, ნებისმიერი გუნდისთვის რთული თამაშია. ჩემმა გუნდმა კარგად ითამაშა. ფლობდა მატჩის დროს სიტუაციას, თუმცა პრობლემები შეგვიქმნა მეტოქის შერკინებამ, რამაც განაპირობა ის, რომ თამაში ფრედ დასრულდა. ის ერთი ქულა, რომელიც თბილისიდან მიგვაქვს, ერთდროულად დანაკარგიცაა და შენაძენიც. ჩვენმა ნაკრებმა სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი წააგო რუსეთის ნაკრებთან. ამ შედეგის შემდეგ თბილისური მატჩის შედეგს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ თამაშმა ჩვენს ბიჭებს შემატა თავდაჯერება და რწმენა იმისა, რომ მომდევნო მატჩებს უკეთესად ითამაშებენ. ეს ჩვენს გუნდს ახლა ყველაზე მეტად სჭირდებოდა."

### 2009/2010 წლების "ერთა თასი". 14 თებერვალი

**თბილისი. "ბორის პაიჭაძე". (8 000 მაყურებელი)**

**საქართველო - პორტუგალია 20:20**

**საქართველო:** მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი მაჩხანელი, დავით კაჭარავა, თედო ზიბზიბაძე (ირაკლი გიორგაძე 52), გიორგი შკინინი, ლაშა მალაღურაძე, ირაკლი აბუსერიძე; დავით ხინჩაგაშვილი, აქვსენტი გიორგაძე (ირაკლი ნატრიაშვილი 62), გოდერძი შველიძე (დავით ქუბრიაშვილი 52), ილია ზედგინიძე, კახაბერ უჩავა (რატი ურუშაძე 72), გია ლაბაძე, მამუკა გორგოძე.

**მთავარი მწვრთნელი:** ტიმ ლეინი

**მწვრთნელები:** დემიენ ქამინზი, ჯონი ნამუ

**ლელოები:** დავით კაჭარავა (42), ილია ზედგინიძე (80)

**გარდასახვა:** მერაბ კვირიკაშვილი (43, 80)

**ჯარიმები:** მერაბ კვირიკაშვილი (38, 56)

**სინბინი:** დავით ქუბრიაშვილი (65)

**პორტუგალია:** პედრო ლეალი, დავიდ მატეუში, პედრო სილვა, დიეგო მატეუში, გონსალო ფორო (დიოგო გამა 62), პედრო კაბრალი (დუარტე პინტო 72), ჟოზე პინტუ, ჟორჟე სეგურადო, ჟოაო კორეია, კრიშტიან სპაშუკი, დავიდ პენალვა (ჟუან სევერინო 66), გონსალო უვა, ვასკო უვა, სალვადორ პალია, ედუარდო აკოშტა.

**მთავარი მწვრთნელი:** ტომაშ მორაეში

**ლელოები:** დავიდ მატეუში (40), პედრო სილვა (77)

**გარდასახვა:** პედრო ლეალი (41, 78)

**ჯარიმები:** პედრო ლეალი (35, 60)

**სინბინი:** სალვადორ პალია (37), პედრო ლეალი (40)

**რეფერი:** სედრიკ ბერდოსი (საფრანგეთი)

**ასისტენტი მსაჯები:** ერიკ გოზენისა, პატრიკ ბელესი (ორივე საფრანგეთი)

**გერმანია - რუმინეთი 0:22**

**"ერთა თასის" განრიგი**

**2008 წელი**

**8 ნოემბერი. მოსკოვი**

რუსეთი - ესპანეთი 42:15

**15 ნოემბერი. მადრიდი**

ესპანეთი - გერმანია 22:11

**2009 წელი**

**7 თებერვალი**

გერმანია - **საქართველო** 5:38

ესპანეთი - რუმინეთი 10:19

პორტუგალია - რუსეთი 14:18

**21 თებერვალი**

პორტუგალია - გერმანია (ლისაბონი)

**28 თებერვალი**

ესპანეთი - **საქართველო** (მადრიდი)

რუმინეთი - რუსეთი (ბუქარესტი)

**14 მარტი**

**საქართველო** - რუმინეთი (თბილისი)

**15 მარტი**

პორტუგალია - ესპანეთი (ლისაბონი)

**21 მარტი**

რუმინეთი - პორტუგალია (ბუქარესტი)

რუსეთი - **საქართველო** (მარიუპოლი, უკრაინა)

**2 მაისი**

გერმანია - რუსეთი (ჰანოვერი)

### კონტინენტის პირველობაზე მოასპარეზე ქართველ მოჭადრაკეთა ვინაობა გაირკვა

გაირკვა ევროპის 2009 წლის ქალ და ვაჟ მოჭადრაკეთა ჩემპიონატში მოასპარეზე ქართველ სპორტსმენთა ვინაობა. ქალთა ევროპირველობაზე 11, ხოლო ვაჟებში 4 ქართველი მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ განაცხადა, რომ ქალთა შორის ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი მაია ლომინეიშვილმა, ნინო ხურციძემ, სოფიკო ხუხაშვილმა, სოფო გვეტაძემ, ნანა ძაგნიძემ, სალომე მელიამ (ყველა საერთაშორისო დიდოსტატი), სოფო გურამიშვილმა, მარიამ დანელიამ, ქეთი წაწალაშვილმა (ყველა საერთაშორისო ოსტატი), ნაზი პაიკიძე და მერი არაბიძემ (ორივე ფიდეს ოსტატი) გამოთქვეს, ხოლო ვაჟთა შორის თორნიკე სანიკიძე, მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი და ბაადურ ჯობავა (ყველა საერთაშორისო დიდოსტატი) იასპარეზებენ. როგორც ქალ, ასევე ვაჟ მოჭადრაკეთა ევროპის 2009 წლის ჩემპიონატზე საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია მხოლოდ ქვეყნის ჩემპიონებს (მაია ლომინეიშვილი და თორნიკე სანიკიძე), ვიცეჩემპიონებს (ხურციძე და გაგუნაშვილი) და ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელებს (ხუხაშვილი და მჭედლიშვილი) დააფინანსებს. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატზე მოასპარეზე დანარჩენ ქართველ მოჭადრაკეებს, ისინი ტურნირზე სამონაწილეო თანხებს თავადვე გაიღებენ. ევროპის 2009 წლის ჩემიონატს ჭადრაკში, ქალთა შორის, 7-21 მარტს სანკტ-პეტერბურგი უმასპინძლებს, ხოლო ვაჟთა ჩემპიონატი, 5-19 მარტს, ჩერნოგორიის ქალაქ ბუდვაში ჩატარდება.

### ამისულაშვილმა ˝სპარტაკს˝ მოაგებინა

თურქეთის საკურორტო ქალაქ კადრიეში შეკრებაზე მყოფმა რუსეთის საფეხბურთო პრემიერლიგის კლუბმა ნალჩიკის “სპარტაკმა”, რომელშიც ალექსანდრე ამისულაშვილი და გოგიტა გოგუა გამოდიან, მორიგ სპარინგში რუმინეთის “ვასლუის” 2:1 სძლია.განვლილ მატჩში ამისულაშვილი მოედანზე 46-ე წუთზე გამოჩნდა და ძირითად დროის დასრულებამდე ათი წუთით ადრე, ზუსტად შესრულებული პენალტით გუნდს გამარჯვება მოუტანა. რუსი ჟურნალისტების აზრით, მომავალ სეზონში ნალჩიკელთა “შტატიანი” პენალტისტი სწორედ ამისულაშვილი იქნება, რომელმაც ცოტა ხნის წინ, რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. რუმინელებთან დაპირისპირებაში მოედანზე 90 წუთი დაჰყო გოგიტა გოგუამ.

### ადამიას წარმატებული დებიუტი

აზერბაიჯანის საფეხბურთო პრემიერლიგის მე-14 ტურში, “ბაკის” რიგებში ქართველი ფორვარდის გიორგი ადამიას დებიუტი შედგა.

განვლილ მატჩში, “ბაკი” სტუმრად “მოიკ”-ს შეხვდა და 3:0 გაიმარჯვა. ადამია გუნდის ძირითად შემადგენლობაში იმყოფებოდა და 29-ე წუთზე ჯერ დრაგან ნაჩევსის გაატანინა გოლი, ხოლო 46-ე წუთზე ქართველის წამოწყებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით პერესმა დააგვირგვინა. ბაქოელთა მიერ გატანილ მესამე ბურთში ქართველს მონაწილეობა არ მიუღია. ადამია შეხვედრის 79-ე წუთზე შეცვალეს.

“მოიკ”-თან დაპირისპირებაში ითამაშა “ბაკის” საუკეთესო ბომბარდირმა ამირან მუჯირმაც, ხოლო გიორგი დემეტრაძე გუნდის განაცხადში ვერ მოხვდა.

27 წლის ადამია “ბაკიში”, მიმდინარე წელს, ბაქოს “ნეფთჩიდან” გადავიდა.

მოიკ-თან მოგებით “ბაკი” აზერბაიჯანის 14-გუნდიან ჩემპიონატში 32 ქულით პირველ ადგილზე იმყოფება, თუმცა, ხვალ უნდა ითამაშოს ბაქოს “ინტერმა”, რომელსაც 31 ქულა აქვს.

მე-14 ტურში, აგდამის “ყარაბაღთან” 0:3 დამარცხდა “ბაკილი”, რომლის მთავარი მწვრთნელი ქართველი სპეციალისტი ვასილ ქეიშვილია.

### კანკავას ზავაროვი ეპატიჟება

ქართველი ფეხბურთელი ჯაბა კანკავა, რომელიც დნეპროპეტროვსკის “დნიპროს” რიგებში შეკრებაზე იმყოფება და 12 თებერვალს საკონტროლო მატჩში გოლის გატანაც მოახერხა, შესაძლოა ყოფილ კლუბ კიევის “არსენალს” დაუბრუნდეს.

აღნიშნულის შესახებ “არსენალის” მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ ზავაროვმა ერთ-ერთ უკრაინულ ინტერნეტ გამოცემას განუცხადა.

კიევის “არსენალში” გადასვალსთან დაკავშირებით თავად კანკავა ინფორმაციას არ ფლობს და ამბობს, რომ მანაც მედიის საშუალებით შეიტყო ყველაფერი. ქართველი ფეხბურთელი “არსენალში” გადასვლას ამ ეტაპზე გამორიცხავს, ვინაიდან მას დნეპროპეტროვსკულ გუნდთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს.

### ტატიშვილმა პირველივე მატჩი წააგო

ქალთა შორის საქართველოს პირველმა ჩოგანმა ანა ტატიშვილმა ძალები აშშ-ს ქალაქ მემფისში დაწყებულ ტურნირ Regions Morgan Keegan Championships & Cellular South Cup-ზე მოსინჯა, თუმცა, პირველივე მატჩი დათმო.

ტატიშვილი კვალიფიკაციის საწყის რაუნდში მეორე ნომრად განთესილ კანადელ სტეფანი დუბუას გადაეყარა და პირველი სეტის მოგების მიუხედავად 6:3, 1:6, 2:6 დამარცხდა. მემფისის საჩოგბურთო ტურნირის საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარი გახლდათ, ტატიშვილმა კი კვალიფიკაციაში მოხვედრისთვის ერთი სარეიტინგო ქულა და 350 დოლარი მიიღო.

### ერთი ნაბიჯი ფინალამდე

ახალგაზრდა ქართველმა ჩოგბურთელმა ეკატერინე გორგოძემ ესპანეთის ქალაქ მალიორკაში მიმდინარე ტურნირის ნახევარფინალში გასვლა მოახერხა, თუმცა, ფინალის საგზურის მოპოვება ველარ შეძლო. გორგოძემ პირველ რაუნდში გერმანელი რიპოლი, დაამარცხა, შემდეგ მაროკოელ ელ ალამის სძლია, ხოლო მეოთხედფინალში იტალიელ ფედერისია დი სარას 5:7, 7:6 (7:4), 6:4 მოუგო. ნახევარფინალში გორგოძე მეორე ნომრად განთესილ ფრანგ ლაურა ტორპეს გადაეყარა და 5:7, 2:6 დამარცხდა.მალიორკას საჩოგბურთო ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი გახლდათ.

### დარენ ბენტი გუნდის გამოცვლაზე ფიქრობს

ლონდონის "ტოტენჰემის" 25 წლის ფორვარდმა დარენ ბენტმა აღიარა, რომ სერიოზულად ფიქრობს კლუბის გამოცვლაზე. მიმდინარე სეზონის 13 პრემიერლიგური შეხვედრა მან ძირითად შემადგენლობაში დაიწყო, 10-ჯერ კი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო. თუმცა, ინგლისის ნაკრების კანდიდატს ეს არ აკმაყოფილებს და მუდმივად ძირითადში ყოფნას ითხოვს. ბენტ იმედი ჰქონდა, გუნდში ჰარი რედნაპის მისვლის შემდეგ, მისი ყოფა გაუმჯობესდებოდა, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი უცვლელად რჩება. "ამ საკითხთან დაკავშირებით მწვრთნელს არაერთხელ ვესაუბრე, მაგრამ რედნაპისგან პასუხად მუდამ ერთი და იგივე ფრაზას ვისმენდი - შენ არ ხარ ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც მუდამ მოედანზე ყოფნა სურს, ძირითადი კი მხოლოდ 11 ფეხბურთელს იტევს. არადა, ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ და ჩემი ასე ნაადრევად ჩამოწერა აშკარად არასწორი გადაწყვეტილებაა. ძალიან მინდა, საკუთარი კარიერა მომავალშიც "ტოტენჰემს" რომ დავუკავშირო, მაგრამ, თუკი უახლოეს მომავალში სიტუაცია არ გამოსწორდა, იძულებული გავხდები, სხვა კლუბში გადავიდე. მართალია, ძირითადში მხოლოდ ყოველ მეორე მატჩში ვხვდები, მაგრამ გატანილი გოლებით დავამტკიცე, რომ არავიზე ნაკლები არ ვარ და სასტარტო თერთმეტეულში რეგულარულად თამაშს ვიმსახურებ", - აღნიშნა ფეხბურთელმა. "ტოტენჰემმა" ბენტი 2007 წელს "ჩარლტონისგან" შეიძინა და მის სანაცვლოდ 16 მილიონი გირვანქა გადაიხადა. მას შემდეგ ლონდონელებმა სამი მთავარი მწვრთნელი გამოიცვალეს, მაგრამ ფორვარდმა საკუთარი პრობლემის მოგვარება ვერც ერთ მათგანთან ვერ მოახერხა. მიმდინარე სეზონში ბენტმა 23 პრემიერლიგურ შეხვედრაში 9 გოლის გატანა მოახერხა, რაც "ტოტენჰემის" ფეხბურთელთა შორის საუკეთესო შედეგია. მთლიანობაში კი, ლონდონურ გუნდში ჩატარებულ 50 მატჩში, მეტოქის კარის აღება 15-ჯერ შეძლო. ინგლისის ნაკრების ფორმა ოთხ თამაშში მოირგო, თუმცა ოთხივე შემთხვევაში მოედანი უგოლოდ დატოვა.

### პარკერმა ახალი კონტრაქტი გააფორმა

ლონდონის "ვესტ ჰემის" ნახევარმცველმა სკოტ პარკერმა გუნდთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელის მიხედითაც ის "აპტონ პარკზე" 2013 წლის ივლისამდე დარჩება. ორი კვირის წინ დახურულ იანვრის სატრანსფერო პერიოდში, "ჩაქუჩების" 28 წლის ფეხბურთელის შეძენა "მანჩესტერ სიტის" სურდა, მაგრამ არაბთა მრავალმილიონიან წინადადებას არც ფეხბურთელი დახარბდა და არც "ვესტ ჰემის" ხელმძღვანელობა. "ძალიან გახარებული ვარ, მით უფრო იმ ხმების შემდეგ, რაც სატრანსფერო პერიოდში ვრცელდებოდა. ახალი კონტარქტის გაფორმებით ჭორებისგან საბოლოოდ დავისვენებ. ბოლო პერიოდში "ვესტ ჰემის" ხელმძღვანელებმა ყველას დაუმტკიცეს, რომ მათ გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელების შენარჩუნება შეუძლია. ეს კი, გულშემატკივრებისთვის შესანიშნავი საჩუქარია. ძოლამ დამარწმუნა, რომ იგი მე გუნდის ერთ-ერთ საკვანძო ფიგურად მიმიჩნევს. მთავარი მწვრთნელის ასეთ ნდობას კი, ნებისმიერი ფეხბურთელი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. სწორედ ამით ვარ გახარებული", - განუცხადა ფეხბურთელმა კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდს.

### "ვოლფსბურგი" გრაფიტეს გარეშე დარჩა

"ვოლფსბურგი" "პარი სენ ჟერმენის" წინააღმდეგ უეფას თასის პირველ მეთექვსმეტედფინალურ მატჩს, რომელიც ოთხშაბათს პარიზში გაიმართება, თავისი ბრაზილიელი მთავარმეგოლის, გრაფიტეს გარეშე ითამაშებს.

39 წლოს თავდამსხმელი, რომელმაც მიმდინარე სეზონში გუნდს 12 ბუნდესლიგური გოლი შეაწია, პარასკევს მუხლის მცირე ოპერაცია გაიკეთა და, სულ მცირე, სამი კვირით იუქმებს. ამის შესახებ საინფორმაციო საშუალებებს "ვოლფსბურგის" მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა შაბათს ფრანკფურტის "აინტრახტთან" საგარეო მოგების (2:0) შემდეგ განუცხადა.

### ფრაისი "კარლსრუედან" "კიოლნში" გადავა

"კარლსრუეს" 23 წლის გერმანელი თავდამსხმელი სებასტიან ფრაისი სეზონის დასრულებისთანავე "კიოლნში" გადავა. ამის შესახებ "კარლსრუეს" ვიცე-პრეზიდენტმა რაინერ შიუტლერმა შაბათს, კიოლნში ამ ორ გუნდს შორის ფრედ დასრულებული შეხვედრის შემდეგ განაცხადა. ფრაისს კლუბთან კონტრაქტი წლეულს ზაფხულში გასდის და ამდენად, "კიოლნს" ის თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდება. "კარლსრუეს" ღირსებას ის 2004 წლიდან იცავს და მის შემადგენლობაში ჩატარებულ 129 მატჩში 37 გოლი გაიტანა. მიმდინარე სეზონში მან გუნდს 7 ბურთი არგო და მისი ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელია.

### ალტრუისტი ბეენჰაკერი

პოლონეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ლეო ბეენჰაკერი ჰოლანდიური "ფეიენოორდის" ტექნიკურ მრჩევლად იმუშავებს. ფეხბურთის როტერდამელი სპეციალისტი ამ პოსტზე მიმდინარე სეზონის ბოლომდე, ანაზღაურების გარეშე იმოღვაწევებს. სხვა და სხვა დროს, ბეენჰაკერი "ფეინოორდში" ახალგაზრდული და მთავარი გუნდების მწვრთნელი იყო. სწორედ მისი ხელმძღვანელობი, 1998-1999 წლების სეზონში როტერდამულმა კლუბმა ჰოლანდიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. პოლონეთის ნაკრებს ბენჰაკერი 2006 წლიდან წვრთნის.

# "მანუ" უკრაინის თასის ფინალშია



მარკოიშვილი უკრაინის თასის მოგებისთვის იბრძოლებს

მეტ-ნაკლებად წარმატებული გამოდგა უცხოეთში მოთამაშე საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კალათბურთელთათვის გასული უქმეები. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მანუჩარ მარკოიშვილის "ბკ კიევმა" მორიგი წარმატებული მატჩი გამართა და უკრაინის თასის ფინალში თამაში დაიბევა.

უკრაინის თასის ნახევარფინალურ მატჩში "მანუს" "ბკ კიევმა" "ხიმიკს" 85:60 სძლია და ფინალში მარიუპოლის "აზოვმაშს" გაეჯიბრება.

ქართველმა კალათბურთელმა მოედანზე 21 წუთი დაჰყო და კიეველებს 9 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა შეაწია.

მანუჩარმა 5-დან 2 ორქულიანი, 4-დან 1 სამქულიანი და 2 საჯარიმო ჩააგდო, მსაჯებს კი 4 პერსონალური ფოლი დასტყუა.

გამარჯვებულთა რიგებში 10-ქულიან ზღვარს 4 კალათბურთელი გადასცილდა, მათგან საუკეთესო დროზდოვმა კი 15 ქულა მოაგროვა.

გრძელდება ბალტიის თასის გათამაშება. გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის "ტარტუ როკმა" ბალტიის საკალათბურთო ლიგაში ლატვიური "ვალმიერა" 101:78 დაამარცხა და 8 მოგებითა და 8 მარცხით მე-4 ადგილზე დამკვიდრდა.

სანიკიძეს მატჩში მონაწილეობა არ მიუღია, ცინცაძემ კი ესტონური კლუბის სასტარტო ხუთეულში იასპარეზა და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

გიორგიმ 29 წუთში 16 ქულა, 9 პასი, 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა და ორმაგ დუბლამდე ერთი შედეგიანი გადაცემა დააკლდა.

ტარტუელთა რიგებში საუკეთესო ტალტსმა 26 ქულას 9 მოხსნა წაამატა, შეხვედრის ბედი კი მე-3 მეოთხედში გადაწყდა, რომელიც "როკმა" 30:17 მოიგო.

ქართველთა კლუბი მომდევნო შეხვედრას 28 თებერვალს ლიტვაში მეორე ადგილზე მყოფ "ჟალგირისთან" ჩაატარებს.

მორიგი მატჩი გამართა ფიბას ევროჩელენჯის გათამაშებაში ესპანურმა "კახასოლმა", რომლის ღირსებას იცავს საქართველოს ნაკრების შავკანიანი უკანახაზელი ტაირონ ელისი. "კახასოლმა" ჯგუფში აუტსაიდერ როსტოვის "ლოკომოტივთან" გასვლითი მატჩი 61:63 დათმო, თუმცა 1 მოგებითა და 2 მარცხით K ჯგუფში მეორე ადგილი შეინარჩუნა.

ტაირონ ელისმა როსტოვულ მატჩში 19 წუთს ითამაშა, თუმცა 4-ვე სამქულიანი ააცილა და მხოლოდ 3 მოხსნასა და 1 პასს გამორჩა.

სევილიელთა რიგებში საუკეთესო კალათბურთელმა სავანოვიჩმა 8 ქულა, 10 მოხსნა და 5 პასი მიითვალა, "ლოკომოტივის" ლიდერმა შევჩიკმა კი 12 ქულითა და 12 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა.

"კახასოლი" მომდევნო მატჩს 24 თებერვალს სტუმრად ჯგუფში სამივე მატჩის მომგებ კვიპროსულ აელ-თან გამართავს.

ბოლოს კი ერთი ინფორმაცია, რომელიც ტრანსფერს შეეხება.

საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა მე-18 ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ სსსსუ-სა და საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდი მიხეილ ბერიშვილი ესპანეთში თამაშს აპირებს.

ახლა ის ესპანეთშია და მსოფლიო კალათბურთს გრანდ "ბარსელონაში" ვარჯიშობს.

# 175-სანტიმეტრიანმა კალათბურთელმა ჩატენვების კონკურსი მოიგო



ჩატენვების კონკურსის გამარჯვებული.

პარასკევს NBA-ში დაიწყო "ოლ სტარის" უიკენდი, რომელსაც ფიტნიქსი მასპინძლობს. მთავარი მატჩი, რომელშიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვარსკვლავები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, დღეს გამთენიისას უნდა გამართულიყო. პარასკევსა და შაბათს სხვადასხვა კონკურესები და ახალბედათა "ოლ სტარი" გაიმართა.

ახალბედათა და მეორეწლიანთა ტრადიციული მატჩი მეორეწლიანთა გამარჯვებით დასრულდა, რაც უკვე ზედიზედ მეშვიდედ მოხდა.

შეხვედრის გმირი გახდა "ოკლაჰომა სიტის" ფორვარდი კევინ დურანტი, რომელმაც 46 ქულა მოაგროვა და ამგვარი მატჩებისთვის ფინიქსელი ამარე სტაუდმაიერის მიერ 2004 წელს დამყარებული რეკორდი 10 ქულით გააუმჯობესა.

მატჩის ბოლო წუთზე დურანტმა სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ ბურთი ჩატენა და ორი საჯარიმოც მიითვალა, რისი წყალობითაც მეორეწლიანებმა 122:116 იმარჯვეს.

ცხადია, მატჩის უძვირფასესი მოთამაშის (MVP) ტიტულიც ოკლაჰომელს ერგო.

ახლა კი იმ კონკურსებზე, რომლებიც ოლსტარის კვირეულის მშვენებად ითვლება.

ჩატენვების კონკურსის გამარჯვებული გახდა "ნიუ იორკ ნიქსის" 175 სმ. სიმაღლის გამთამაშებელი ნეით რობინსონი, რომელმაც ფინალში კონკურენტსა და შარშანდელი შეჯიბრების გამარჯვებულ დუაიტ ჰოვარდს ბურთი თავზე გადაატენა.

რობინსონს ეს კონკურსი 2006 წელს ჰქონდა მოგებული. სუპერმენის ფორმაში გამოწყობილმა "ორლანდო მეჯიქის" ვარსკვლავმა ჰოვარდმა კი 2008-ში იმარჯვა. მაშინ "მეჯიქის" კალათბურთელმა ბურთი 340 სმ-ზე (სტანდარტზე 35 სმ-ით მაღლა) დაკიდულ ფარში ჩატენა.

ეს ორნი ფინიქსში ფინალში შეიყარნენ და გულშემატკივარს ჩინებული სანახაობა აჩუქეს. გადამწყვეტი ცდისას რობინსონმა სწორედ 211 სმ. სიმაღლის ჰოვარდს სთხოვა დახმარება და ფარის წინ დააყენა, თავად კი თითქმის ცენტრიდან გამოექანა და, დუაიტზე გადაფრენის შემდეგ, ბურთი კალათში ჩატენა.

რობინსონის ამგვარმა ქმედებამ დარბაზი აღტაცებაში მოიყვანა და შემფასებლებზეც შესაბამისად იმოქმედა, რომელთა 52%-მა ნიუიორკელს მიანიჭა გამარჯვება.

"ძალიან მიხარია, რომ დუაიტმა ასეთი ცდის განხორციელების საშუალება მომცა. გუშინ ლიფტში ერთად ვიმგზავრეთ და ეს იდეა ისე, სხვათა შორის შევთავაზე. ჰოვარდმა მითხრა: "რა პრობლემაა, მეგობარო?" თავიდან მეგონა, ხუმრობდა, თუმცა, ყველაფერი სერიოზულად ყოფილა".

"ეს ხომ სანახაობაა. ამიტომ უკან არაფერზე არ უნდა დავიხიოთ, - თავის მხრივ აღნიშნა დუაიტმა, - ნეიტმა სრულიად სამართლიანად იმარჯვა. მთავარია გულშემატკივარი კმაყოფილი დარჩეს და პრიზი ვის დარჩება, მეორეხარისხოვანია".

რაც შეეხება სამქულიანების კონკურსს, აქ მარცხი იწვნია გასული ორი შეჯიბრების გამარჯვებულმა ჯეისონ კაპონომ. "ტორონტო რეპტორზის" წევრმა 14 ქულა დააგროვა და ფინალისტებს "მაიამი ჰითის" მცველ დეკუან კუკსა და "ორლანდო მეჯიქის" ფორვარდ რაშარდ ლუისს ერთი ქულით ჩამორჩა. ამ უკანასკნელთა შორის გამარჯვება კუკს დარჩა.

# ქართული საკლუბო ლოგიკა

## მდევრები "ვიტ ჯორჯიას" მიუახლოვდნენ

მიხეილ აბაიშვილი

სანაკრებო შესვენებით გამოწვეული უქმეები დასრულდა და განახლდა ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, რომლის მე-19 ტურმა სრულ იდილიაში ჩაიარა და მკაცრ ლოგიკას დაქვემდებარებული შედეგებით აღინიშნა. არც ერთი არათუ სენსაციური, ოდნავ მოულოდნელი შედეგიც კი არ დაფიქსირებულა. ამ ტურში ლიდერი - თბილისის "ვიტ ჯორჯია" ისვენებდა, რაც მდევრებისთვის დაწევის შანსით განპირობებული დამატებითი მოტივაცია იყო. საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი გუნდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს შანსი გამოიყენეს. "ვიტ ჯორჯიას" კვალში ჩამდგარმა სამივე გუნდმა - "დინამომ", "ოლიმპმა" და "ზესტაფონმა" სამ-სამი ქულა მიითვალეს და სინქრონულად მიუახლოვდნენ ლიდერს.

ტურის ცენტრალური შეხვედრა თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა. მოქმედმა ჩემპიონმა და ჯერჯერობით "ვიტ ჯორჯიას" მთავარმა კონკურენტმა თბილისის "დინამომ", რომელიც ლიდერს ყველაზე ნაკლებად ჩამორჩება, ბოლნისის "სიონს" უმასპინძლა.

საბოლოოდ მატჩი "დინამოს" გამარჯვებით - 4:1 დასრულდა. თუმცა, პირველი ტაიმის შემდეგ ასეთი



მერებაშვილმა "ჰეთ თრიკი" შეასრულა.

პროგნოზის გაკეთება გაჭირდებოდა. მართალია, "დინამომ" პენალტის ნიშნულიდან მერებაშვილის ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა, მაგრამ მასპინძლებს ბოლნისელთა სწრაფი კონტრშეტევა გამოეპარათ და მიკუჩაძემ თანაფარდობა აღადგინა.

მატჩის მეორე ნახევარში თავი იჩინა "დინამოს" უკეთესმა ფიზიკურ-ფუნქციონალურმა მომზადებამ. საქართველოს ჩემპიონმა სრულფასოვანი საწვრთნელი შეკრება ანტალიაში გაიარა, სადაც არაერთი სპარინგმატჩი ჩაატარა ძლიერ უცხოურ კლუბებთან. "სიონი" კი, მწირი ფინანსური შესაძლებლობების გამო, სამშობლოში ჩატარებული საწვრთნელი შეკრებით შემოიფარგლა. რაინერ ცობელის გუნდმა მეორე ტაიმის მეორე ნახევარში საგრძნობლად დაჩაგრა მეტოქე. 12-წუთიან შუალედში "დინამომ" "სიონს" ზედიზედ სამი გოლი გაუტანა. ჯერ ხმალაძემ გამოიჩინა თავი და "დინამო" კიდევ ერთხელ დააწინაურა, შემდგომ კი მერებაშვილმა, რომელიც მიმდინარე სეზონში უდავოდ საუკეთესოა, კიდევ ორი გოლი გაიტანა და "ჰეთ თრიკი" შეასრულა. საბოლოოდ, ჩემპიონმა 4:1 მოიგო და "ვიტ ჯორჯიოასთან" ქულათა სხვაობა ექვსამდე შეამცირა.

არანაირი პრობლემა არ ჰქონია ექსჩემპიონ "ოლიმპს", რომელმაც რუსთავში დებიუტანტ "გაგრას" უმასპინძლა. ყველაფერი პირველივე ტაიმში გაირკვა. მე-9-დან 35-ე წუთის ჩათვლით მაჭავარიანმა, ხუბუამ და რეხვიაშვილმა სამჯერ დალაშქრეს აფხაზეთის წარმომადგენელთა კარი და ტაიმიც მასპინძელთა სასარგებლოდ - 3:0 დასრულდა. შეხვედრის მეორე ნახევარში "ოლიმპის" ფეხბურთელებს თავი აღარ გამოუდიათ, ხოლო გაგრელებს თუნდაც ერთი გოლის გასატანად ძალა არ ეყოთ.

ოქროსმაძიებელთა შორის სამი ქულის მოპოვება ყველაზე მეტად "ზესტაფონს" გაუჭირდა. გია გეგუჩაძის გუნდმა მშობლიურ არენაზე რიკოთსგადაღმა მეზობელ "ბორჯომს" უმასპინძლა და დიდი ოფლის ღვრაც დასჭირდა მეტოქის წინააღმდეგობის დასაძლევად. შეხვედრაში ერთადერთი გოლი გავიდა. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში დაბრუნება 83-ე წუთზე განხორციელებული შედეგიანი დარტყმით აღნიშნა შეცვლაზე შესულმა ვეტერანმა თავდამსხმელმა ლევან მელქაძემ. კიდევ ერთი ვეტერანი მიხეილ კაკალაძე თამაშში ასევე შეცვლაზე ჩაერთო, ხოლო უბერებელმა ზურაბ იონანიძემ მთელი 90 წუთი დაჰყო მოედანზე.

**მე-19 ტური**
**ოლიმპი - გაგრა 3:0**
**ლოკომოტივი - სპარტაკი 2:1**
**დინამო - სიონი 1:0**
**ზესტაფონი - ბორჯომი 1:0**
**მესხეთი - მგლები 0:0**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 17 | 12 | 4 | 1 | 30 | 10 | 40 |
| დინამო | 16 | 12 | 1 | 4 | 36 | 13 | 34 |
| ოლიმპი | 17 | 8 | 7 | 2 | 21 | 10 | 31 |
| ზესტაფონი | 16 | 9 | 3 | 4 | 17 | 9 | 30 |
| ლოკომოტივი | 17 | 8 | 2 | 7 | 22 | 16 | 26 |
| სიონი | 17 | 6 | 7 | 4 | 18 | 14 | 25 |
| მგლები | 18 | 5 | 4 | 9 | 16 | 23 | 19 |
| მესხეთი | 17 | 4 | 5 | 8 | 12 | 24 | 17 |
| გაგრა | 18 | 4 | 4 | 10 | 13 | 29 | 16 |
| ბორჯომი | 16 | 2 | 5 | 10 | 15 | 36 | 11 |
| სპარტაკი | 16 | 2 | 2 | 12 | 12 | 28 | 8 |

# განცხადება
## ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო" (მის: ქ. თბილისი 0102, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს სააგენტოს საჭიროებისათვის ავეჯის შესყიდვაზე შემდეგი ლოტების მიხედვით:

ლოტი 1 – მოსაცდელის სკამი
ლოტი 2 – საოფისე სკამები და სავარძლები
ლოტი 3 – ავეჯი

2. მისაწოდებელი საქონელი:
ლოტი 1. მოსაცდელის სკამი – 400 ერთეული
ლოტი 2. საოფისე სკამები და სავარძლები:
საოფისე სკამი – 155 ერთეული, საოფისე სავარძელი – 3 ერთეული
ლოტი 3 – ავეჯი:
მაგიდა – 280 ერთეული
კარადა – 200 ერთეული
სტელაჟი – 330 ერთეული.

3. საქონლის მიწოდების სავარაუდო ვადები - 2009 წლის მარტიდან 2009 წლის 15 დეკემბრამდე.

4. მიწოდების ადგილი: მცხეთა, გორი, ხაშური, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, დედოფლისწყარო, საგარეჯო, წნორი, ხელვაჩაური, შუახევი, ქობულეთი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ლანჩხუთი.

